# სპორტი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 26 აპრილი 2007 №92 (3015) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოცნებაპო ძველი...

## 17 ნოემბერს ბრაზილიას ვხვდებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP

# 17 ნოემბერი: ბრაზილია თბილისში!

**საქართველოს** ნაკრები 17 ნოემბერს მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ბრაზილიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს — ეს ამბავი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია და ახლა ამ ამხანაგურ მატჩს რამდენიმე საორგანიზაციო დეტალზე შეთანხმება და საქართველოსა და ბრაზილიის ფეხბურთის უფროსების კონტრაქტზე ხელმოწერა აკლია. მთავარი საქმე კი უკვე მოგვარებულია — ბრაზილიელები ქართველების შეთავაზებულ პირობებს დათანხმდნენ და ამის დამადასტურებელი ფაქსი ფეხბურთის ფედერაციას გაუგზავნეს.

ბრაზილია თბილისს, როგორც ვთქვით, ეროვნული გუნდით და მწვრთნელ კარლოს დუნგას ხელმძღვანელობით ესტუმრება. ის დეტალები კი, რაზეც მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს, ბრაზილიელთა შემადგენლობასთანაა დაკავშირებული. მოგეხსენებათ, ამჟამად ბრაზილიას უამრავი ვარსკვლავი ჰყავს, ხოლო ჩვენების მოთხოვნაა, რომ დუნგამ საქართველოსთან სათამაშოდ რამდენიმე ვარსკვლავთ-ვარსკვლავი ანუ კაკა, რონალდინიო და ამ დონის სხვა ფეხბურთელი ჩამოიყვანოს.

საქართველო-ბრაზილიას შორის მოლაპარაკება სატელევიზიო უფლებების წვრილმანებზეც გაგრძელდება და, ფეხბურთის ფედერაციის გენმდივან უჩა უგულავას თქმით, ყველა ეს საკითხი, სავარაუდოდ, ერთ კვირაში მოგვარდება.

მთავარი კი უკვე გარკვეულია და გავიმეოროთ: ბრაზილია საქართველოს პირობებს დაყაბულდა და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, 17 ნოემბერს თბილისში საქართველო ბრაზილიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს.

აქვე შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები 21 ნოემბერს ლიტვასაც თბილისში ეთამაშება. ეს ჩვენებისთვის ევრო 2008-ის ბოლო შესარჩევი მატჩი იქნება და კლაუს ტოპმიოლერის ახლანდელი ორწლიანი კონტრაქტიც ამ შეხვედრის დასრულებისთანავე ამოიწურება. თუმც ნოემბრამდე ჯერ ძალიან ადრეა და შესაძლოა, ბევრისთვის კი ალბათ სასურველიც, გერმანელ სპეციალისტთან კონტრაქტი მის ამოწურვამდეც გაგრძელდეს.

**კოტა ინასარიძე**

# სკოლბურთი და არა ჩხუბი

## ფედერაციამ და მერიამ ხელი ხელს დაჭიჭრეს

**გუშინ** თბილისის მერიაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და მერიას შორის მემორანდუმი გაფორმდა — ეს იმას ნიშნავს, რომ ფედერაცია სკოლბურთის პროექტს 2010 წლის ივლისამდე თბილისის მერიასთან ერთად განახორციელებს.

სკოლბურთის პროექტი 2006 წელს ფედერაციისა და ეზოს ფეხბურთის ასოციაციის მიერ შეიქმნა. იმავე წელს ჩატარდა ტურნირი „ჰეპსის თასი", რომელშიც თბილისის 204 საშუალო სკოლის 2000-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. ფედერაცია წლეულს ტურნირის არეალის გაფართოებას აპირებს, ანუ მას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩაატარებს.

რაც შეეხება მემორანდუმს, გუშინ მას ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა და თბილისის მერმა გიგი უგულავამ ოფიციალურად მოაწერეს ხელი.

*ნოდარ ახალკაცი:* მერიის გადაწყვეტილება უდავოდ მისასალმებელია. სკოლბურთი შარშან პირველად ჩატარდა და ყველა დადებითად შეხვდა ამ წამოწყებას. დარწმუნებული ვარ, მერიასთან თანამშრომლობით სკოლბურთი უფრო მაღალი დონის ტურნირი გახდება და მისი პოპულარობაც გაიზრდება.

*გიგი უგულავა:* შესანიშნავი პროექტია და დედაქალაქის მერია ყოველთვის მხარს დაუჭერს ამგვარ ტურნირებს. კარგია, რომ სკოლები ერთმანეთს ფეხბურთში, მხიარულ სტარტებსა და მსგავს ტურნირებში ეჯიბრებიან და არა ჩხუბში. მგონი, წლევანდელ სკოლბურთში ხუთასამდე საშუალო სკოლის მოსწავლეები ითამაშებენ, რაც მხოლოდ მისასალმებელია.

**ილია ნანოგაშვილი**

გიორგი ნემსაძის ფოტო

# თქვენი კრიმანჭული კრიმინალურია

## გურიას ეუბნებიან, სხვებმა გაიგეთო

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებზე 33-ის ნაცვლად 32 ხმოსანი იქნება. ფედერაციისა და ფიფა-უეფას წეს-კანონების და ასევე საკუთარი წესდების დარღვევისთვის და თავნებობისთვის გურიის რეგიონულ ფეხბურთის ფედერაციას აღმასკომის უახლოეს სხდომაზე უფლებამოსილება შეუჩერდება, რაც თავისთავად საარჩევნო ხმის დაკარგვად დაუჯდება — ასე გვითხრა ფეხბურთის ფედერაციის გენმდივანმა უჩა უგულავამ.

საქმე ასეა: გურიის რეგიონულ ფედერაციას, რომლის პრეზიდენტიც ლანჩხუთელი დურმიშხან ჩხაიძე გახლავთ, რეგიონული ფედერაციის ყრილობა ორი დღის წინ ლანჩხუთში ისე მოუწვევია, არც თავის სუბიექტ ოზურგეთის ფედერაციისთვის უცნობებია, არც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის. გურულთა ყრილობას სხვა საკითხებთან ერთად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 13 მაისის ყრილობაზე წარსაგზავნ მანდატოსანთა ვინაობა უნდა გაერკვია და ამავე დროს ფედერაციის საპრეზიდერტო არჩევნებში გიორგი ნემსაძის კანდიდატურა წარედგინა. ყრილობამ თავისი საქმე გააკეთა, ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ სამდივნოს გიორგი ნემსაძის საპრეზიდენტო კანდიდატურა წარუდგინა და ფედერაციის ყრილობის სამი მანდატიც გაანაწილა.

ამ დროს კი ფეხბურთის ფედერაცია.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური სამდივნო გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის ყრილობასა და ამ ყრილობაზე მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას ბათილად ცნობს. გურიის ფედერაციამ დაარღვია თავისივე წესდება და ყრილობა ასე მოიწვია — ესეც ფეხბურთის ფედერაცის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ გვითხრა — ჩვენ ოზურგეთის ფეხბურთის ფედერაციიდან მივიღეთ წერილი, რომ ისინი შესაბამისად არ იყვნენ ინფორმირებულნი რეგიონული ფედერაციის ყრილობის ჩატარების თაობაზე. ოზურგეთელები ყრილობას კი დაესწრნენ, მაგრამ შემდეგ პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვეს. გურიის რეგიონული ყრილობის ჩატარების თაობაზე არც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ იცოდა. ასეთი დარღვევისთვის კი ფეხბურთის ფედერაციის გენსამდივნო გურიის ფედერაციის უფლებამოსილების შეჩერების საკითხს დააყენებს.

— უფრო კონკრეტულად?

— გენსამდვინო ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის უახლოეს სხდომაზე დააყენებს გურიის ფედერაციისთვის უფლებამოსილების შეჩერების საკითხს და იმედი გვაქვს, აღმასკომი ჩვენს თხოვნას დააკმაყოფილებს.

— მერე?

— თუ აღმასკომმა თხოვნა დააკმაყოფილა, მერე უფლებამოსილების აღდგენის საკითხს ფედერაციის ყრილობა განიხილავს.

— ანუ, გამოდის, რომ ყრილობაზე 33 ხმის ნაცვლად 32 დარჩება?

— დიახ, თუ აღმასკომმა გურიის ფედერაციას უფლებამოსილება შეუჩერა, ფედერაციის სუბიექტს ხმის უფლება აღარ ექნება.

— აღმასკომის უახლოესი სხდომა როდის გაიმართება?

— აუცილებლად ყრილობამდე. შესაძლოა, 12 მაისს.

— გურიის ფედერაცია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში გიორგი ნემსაძის მომხრეა. ეს ყველაფერი გენსამდივნომ იმიტომ გააკეთა, რომ ნემსაძეს მხარდამჭერი მოაკლოს?

— გიორგი ნემსაძეს თავისი საპრეზიდენტო კანდიდატურა ოფიციალურად არ წარმოუდგენია. ასე რომ, ამ გადაწყვეტილებას ნემსაძეს ნუ დავუკავშირებთ. იგი არაფერ შუაშია, გურიის ფედერაციამ წესდება დაარღვია და მისი ყრილობა და ყველა გადაწყვეტილება ამიტომ არის ბათილი. აქვე კი ყველა რეგიონული ფედერაციის გასაგონად ვიტყვი, რომ წესდების დარღვევის შემთხვევაში იგივე სასჯელს მიიღებენ, როგორიც გურიის ფედერაციამ მიიღო.

**კოტა ინასარიძე**

# ტობოლი ჯერ ტობოლია

**საქართველოდან** რომელი გუნდი რომელ ევროტურნირში მიიღებს მონაწილეობას, ჯერჯერობით გაურკვეველია. მხოლოდ ის ვიცით, რომ ინტერტოტოს თასზე „ამერი“ და „ზესტაფონი“ არ ითამაშებენ. ინტერტოტოზე მოთამაშე ქართული გუნდი ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გაირკვევა, ხოლო მისი მეტოქე უკვე ცნობილია — კუშტანაის „ტობოლი“.

ნიონში გამართულ კენჭისყრაზე ინტერტოტოს პირველ ეტაპზე ყაზახური გუნდი გვერგო. პირველი მატჩი კუშტანაიში, 23 ან 24 ივნისს გაიმართება, საპასუხო შეხვედრა კი ერთი კვირის შემდეგ საქართველოში.

კუშტანაის „ტობოლი“ ყაზახეთის ჩემპიონატში 1992 წლიდან თამაშობს. 2002 წლამდე „ტობოლი“ საშუალო გუნდად ითვლებოდა, 2002-დან კი სტაბილურად ხვდება სამეულში. მიმდინარე ჩემპიონატში ხუთი ტურის შემდეგ კუშტანაელებს 11 ქულა აქვთ და მეორე ადგილზე არიან.

„ტობოლი“ ძირითადად ყაზახი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. გუნდში მხოლოდ სამი ლეგიონერია — 30 წლის თურქმენი ნახევარმცველი დიდარკლიჩ ურაზოვი, 35 წლის ბულგარელი მცველი სტანიმირ დიმიტროვი და 29 წლის უზბეკი თავდამსხმელი ულუგბეკ ბაკაევი.

ბაკაევი 2004 წელს ყახახურ კლუბში მოსკოვის ცესკადან გადავიდა და ყაზახეთის ნაკრების წევრ ნურბოლ ჟუმასკალიევთან ერთად გუნდის ლიდერად იქცა. ჟუმასკალიევის გარდა ეროვნულ გუნდში თამაშობენ მცველი ფარხადბეკ ირისმეტოვი და ნახევარმცველები — სერგეი სკორიხი და რუსლან ბალტიევი.

„ტობოლს“ ინტერტოტოზე 2003 წელს უთამაშია და არცთუ წარუმატებლად. პირველ საკვალიფიკაციო რაუნდში ყაზახებმა ორი მატჩის ჯამში (3:0; 2:1) „პოლონია“ დაამარცხეს, მეორე რაუნდში ბელგიურ „სენტ ტრუიდენს“ 2:0; 1:0 სძლიეს, მესამეში კი თავად დამარცხდნენ ავსტრიულ „პაშინგთან“ 0:1; 0:3. ქართული გუნდებიდან ინტერტოტოს თასზე ორი ეტაპი ჯერ არც ერთს გაუვლია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ალბათ მაინც წავალ...

კვირას შოთა არველაძის „ალკმაარი“ 26 ნლიან წინასწარ ჩემპიონობას გამეორებას შეეცდება და თუ სასნაული არ მოხდა, გაიმეორებს კიდეც — ჰოლანდიის ციცქნა ქალაქის გუნდს ევროპის ჩემპიონთა ერთი მოგებაღა აშორებს.

ჰოლანდიის ერედივიზიონის ბოლო ტურის წინ ასეთი ვითარებაა: „ალკმაარს“, „აიაქსს“ და პსვ-ს თანაბარი ქულები აქვთ, თუმც შოთას გუნდს მეტოქეებზე უკეთესი ბურთების შეფარდება უმაგრებს ზურგს. AZ-ს პლუს 53 აქვს, „აიაქსს“ პლუს 47, პსვ-ს კი პლუს 46.

ლუის ვან გაალის „ალკმაარი“ სტუმრად თამაშობს „ექსელსიორთან“, რომელიც ბოლოდან მესამე ადგილზეა და არავითარი სატურნირო მოტივაცია არ გააჩნია. და კიდევ, არველაძეს „ექსელსიორთან“ შეხვედრებში ყოველთვის გააქვს გოლი, შარშან კი სულაც ჰეთთრიქი მიართვა. მოკლედ, თუ ყველაფერი ლოგიკურად იქნა, პატარა AZ ისტორიაში მეორედ გახდება ჰოლანდიის ტრიუმფატორი.

შოთა არველაძეს „ექსელსიორთან“ წინასამატჩო ამბებზე ვკითხეთ...

— ღვთის წყალობით, ოპტიმალური შემადგენლობით ვხვდებით გადამწყვეტ მატჩს. ვან გაალმა ორი დღე დაგვასვენა და ხვალ დავიწყებთ ვარჯიშს.

**— შენც და შენი თანაგუნდელებიც ძალიან გადაღლილები იქნებით.**

— აბა, რა იქნება, უამრავი თამაში გვქონდა ამ სეზონში. ჩემპიონატი, უეფას თასი, ჰოლანდიის თასი... თასის ფინალში „აიაქსი“ გველის, მაგრამ ჯერ რა დროს ამაზე ფიქრია.

**— „ექსელსიორი“ სუსტი გუნდია და სასწაული უნდა მოხდეს, ვერ მოუგოთ...**

— ლანგრით არავინ მოგვართმევს მოგებას, ასეთი თამაშის წინ მოშვება სისულელეა. უბრალოდ, იმას ვიტყვი, რომ ძალიან ახლოს ვართ ჩემპიონობასთან. ჩვენ რომ მოვიგოთ, პსვ-მ ან „აიაქსმა“ ჩვენზე შვიდი ბურთით მეტი სხვაობით უნდა იმარჯვონ.

**— დიდი შანსია, პსვ-მ და „აიაქსმა“ სტიმული ანუ წამახალისებელი პრემია მისცენ „ექსელსიორს“...**

— არ ვიცი. შესაძლოა, ასეც მოხდეს.

**— ჰოლანდიის ჩემპიონი ერთხელ უკვე გამხდარხარ, ოღონდ „აიაქსის“ შემადგენლობაში. „აიაქსისთვის“ ჩემპიონობა ჩვეული ამბავია, „ალკმაარისთვის“ კი დიდი მიღწევაა და კვირას თუ მოიგებთ, ალბათ, ამ ტიტულს უფრო ძვირფასად ჩათვლი...**

— სხვადასხვა გრძნობებია. „აიაქსში“ რომ მივედი, ისეთი დონის ფეხბურთელები დამხვდნენ, ლიდერად ვერ ჩავითვლებოდი. მაშინ ჩემი ჰოლანდიაში დამკვიდრების წელი იყო, გრანდ კლუბს ვეჩვეოდი და მოხარული ვარ, რომ ეს მალევე შევძელი — „აიაქსში“ გატარებული საჩემპიონო სეზონი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ჩემთვის. ახლა კი დაღვინებული ვარ.

**— სეზონის დასრულების შემდეგ რას აპირებ? ამასწინათ თქვი, შესაძლოა, კარიერა დავასრულოო, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის სურვილი...**

— ვნახოთ, ჯერ არ ვიცი. ალბათ მაინც დავანებებ თამაშს თავს.

**ილია ნანოგაშვილი**

# ვისი ამოვა კოჭი?

## ინტერტოტოს ლოტოშანსები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 21 | 16 | 4 | 1 | 50:6 | 52 |
| დინამო | 21 | 16 | 1 | 4 | 44:17 | 49 |
| ამერი | 21 | 14 | 4 | 3 | 42:13 | 46 |
| ზესტაფონი | 21 | 13 | 7 | 1 | 42:9 | 46 |
| ვიტ ჯორჯია | 21 | 11 | 7 | 3 | 38:23 | 40 |
| სიონი | 21 | 11 | 2 | 8 | 26:17 | 35 |

**საქართველოდან** ევროტურნირებზე ოთხი გუნდი ითამაშებს — ჩემპიონი ჩემპიონთა ლიგაზე, მეორეადგილოსანი და თასის მფლობელი უეფას თასზე, მესამეადგილოსანი კი ინტერტოტოს თასზე. თუმც შესაძლოა, ცვლილებებიც მოხდეს: 1. თუ ჩემპიონი თასსაც აიღებს, ხოლო ფინალში მეორეადგილოსანი წააგებს, უეფას თასზე ფინალისტთან ერთად მესამეადგილოსანი. ითამაშებს, ავტომატურად ინტერტოტოს საგზური მეოთხეადგილოსანს ერგება; 2. მესამე-მეოთხე ადგილებზე გასული გუნდები, შესაბამისად, უეფასა და ინტერტოტოს თასებზე იმ შემთხვევაშიც ითამაშებენ, თუ თასის მფლობელი მეორე ადგილს დაიკავებს; 3. მეოთხეადგილოსანს ინტერტოტოზე თამაშის უფლება ექნება, თუ თასის მფლობელი მესამე ადგილზე გავა; 4. ინტერტოტოზე თამაშის უფლება ექნება ყოველი მომდევნო ადგილის დამკავებელ გუნდს, თუ საგზურის მფლობელი ამაზე უარს განაცხადებს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ „ამერმა“ და „ზესტაფონმა“ პირველი ნახევარფინალური მატჩები დიდი ანგარიშით მოიგეს და თითქმის ფინალში არიან, მაშინ ერთ-ერთი მათგანი ავტომატურად ხდება უეფას თასის საგზურის მფლობელი. თუ ცხრილის ზედა ოთხეულში სეზონის ბოლომდე დღევანდელი სტატუს კვო შენარჩუნდა და თასი „ამერმა“ მოიგო, ინტერტოტოს საგზურს „ზესტაფონი“ მიიღებს, მაგრამ იმერლებმა იქ მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. ასეთ შემთხვევაში ინტერტოტოზე მეხუთეადგილოსანი გავა. „ამერის“ უარის გამო იგივე მოხდება, თუ მესამე ადგილსა და თასს „ზესტაფონი“ დაეუფლება.

ეს ყველაფერი წყალს „ვიტ ჯორჯიას“ წისქვილზე ასხამს, რომელიც ამჟამად მეხუთე ადგილზეა. ვეტერინარებს არ გაუმართლებთ იმ შემთხვევაში, თუ „ამერი“ ან „ზესტაფონი“ მეორე ადგილს დაიკავებენ და თასის ფინალს წააგებენ. ამ შემთხვევაში „ვიტ ჯორჯიას“ ამჟამად პირველ-მეორე ადგილებზე მყოფთაგან ჩამოქვეითებული ერთ-ერთი გუნდი ჩაენაცვლება, „დინამო“ ან „ოლიმპი“.

„ვიტ ჯორჯიასთვის“ არასასურველი იქნება ის ვარიანტებიც, თუ თასის ფინალისტებმა პირველ-მეორე ადგილების დაკავება შეძლეს (რაც ახლა არარეალური ჩანს), ან თუ თასის მფლობელმა მეორე ადგილი დაიკავა, ფინალისტმა კი — მესამე. ამ შემთხვევაშიც ინტერტოტოს საგზური მეოთხეადგილოსანს ერგება.

თუ ყველაფერი ისე დალაგდა, რომ ინტერტოტოს საგზური მეხუთეადგილოსანს ერგო, „ვიტ ჯორჯიას“ დამშვიდების უფლება მაინც არ ექნება. მცხეთელები ხუთი ქულით უსწრებენ ბოლნისის „სიონს“ და არ არის გამორიცხული, ჩემპიონატის ბოლოს მეხუთე ადგილზე და ინტერტოტოზე ქვემოქართლელები ვიხილოთ.

ასე რომ, დარჩენილი ხუთი ტური და თასის ფინალი ბევრ კითხვას გასცემს პასუხს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# 19-წლამდელების სამაისო შოტლანდია

**საქართველოს** 19-წლამდელთა ნაკრებს მაისის მიწურულს ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდის ტურნირი დაეწყება. ოთხგუნდა ჯგუფს შოტლანდია უმასპინძლებს, ფინალურ ეტაპზე კი მხოლოდ გამარჯვებული გავა. ამოცანა ძალიან რთულია, მაგრამ ისიც გავითვალისწინოთ, რომ ჰაინც ტოპმოლერის გუნდში 21-წლამდელთა ნაკრებს გაჩვეული ფეხბურთელებიც მრავლად არიან.

ელიტ-რაუნდში საქართველოს ნაკრების ჯგუფის კალენდარი ასეთია (დრო თბილისისაა):

**23 მაისი**

დანდი. დენს პარკი. 19.00

**შოტლანდია — თურქეთი**

პერთი. მაკდიამირდ პარკი. 19.00

**პორტუგალია — საქართველო**

**25 მაისი**

პერთი. მაკდიამირდ პარკი. 22.45

**შოტლანდია — საქართველო**

დანდი. დენს პარკი. 22.45

**პორტუგალია — თურქეთი**

**28 მაისი**

ჰერთი. მაკდიამირდ პარკი

**პორტუგალია — შოტლანდია**

დანდი. დენს პარკი. 22:45

**თურქეთი — საქართველო**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა!
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## ჩემპიონთა ლიგა 2006-2007
### ნახევარფინალი. პირველი მატჩი

**მანჩესტერი (ინგლისი) 3:2 მილანი (იტალია)**

1:0 რონალდუ (5), 1:1, 1:2 კაკა (22, 37), 2:2, 3:2 რუნი (59, 90)

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ოში, ბრაუნი, ჰაინცე, ევრა, ფლეტჩერი, კარიკი, სქოულზი, რონალდუ, რუნი, გიგზი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

**მილანი:** დიდა, ოდო, ნესტა, მალდინი (ბონერა 46), იანკულოვსკი, გატუზო (ბროკი 53), პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა, ჯილარდინო (გურკუფი 84)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: ევრა (42), კაკა (62), გიგზი (62), ბონერა (74)

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

76 212 მაყურებელი

კარლუშ კეირუში, ალექს ფერგიუსონი და დამწუხრებული კახა კალაძე, ვინც სამატჩო განაცხადში ვერ მოხვდა

AFP

# გალიანი: კაკა! ფერგიუსონი: რონალდუ!

**ადრიანო გალიანის** აზრით, „მილანის" მარცხი პაოლო მალდინის და ჯენარო გატუზოს ტრავმების ბრალია: „ასეთ მატჩში დიდი ფეხბურთელის გამოკლება ნებისმიერი გუნდის თამაშს დაეტყობა. მესამე გოლი დასანანი შეცდომის გამო გავუშვით, მაგრამ სტუმრად 2:3 ცუდი შედეგი არაა და თავაწეულები მივდივართ შინ. ფავორიტად „მანჩესტერი" არ მიმაჩნია. შანსები თანაბარია და წინ კიდევ 90 წუთი გველის. სამწუხაროა, რომ კლარენს ზეედორფის პასით კაკამ ვერ ისარგებლა, თორემ მესამეს გაიტანდა და 3:1 გახდებოდა. დანიელე ბონერასა და კრისტიან ბროკის დადანაშაულება არ მინდა, მაგრამ გატუზო და მალდინი მოედანზე რომ ყოფილიყვნენ, დარწმუნებული ვარ, არ წავაგებდით. თავად განსაჯეთ, გატუზოს გასვლამდე ხომ 2:1-ს ვიგებდით. მალდინის მუხლი გაუსივდა, „რინოს" კი ტერფი სტკივა და სიარული უჭირს. ვნახოთ, რას გვეტყვიან ექიმები. მიუხედავად იმისა, რომ დღეს კრიშტიანუ რონალდუ ვნახე, მაინც მჯერა — კაკა მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელია. იგი ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო მეგოლეა (9 გოლი გაიტანა), ნახევარდაცვაშიც ბრწყინვალეა და გატანაც ეხერხება. დიდ გუნდებს უნდა ჰყავდეთ ფეხბურთელები, რომლებიც თამაშის ბედს წყვეტენ. რაც შეეხება ჯილარდინოს, ბევრი იმუშავა და აუგს ვერ ვიტყვი. წავაგეთ, მაგრამ ალბათ გახსოვთ, რომ „ბაიერნთანაც" საშინაო მატჩში ბოლოს გავუშვით გოლი და ჩამოგვწერეს, თუმც სტუმრად საუცხოოდ ვითამაშეთ. „მანჩესტერიც" დიდი გუნდია, მაგრამ „სან სიროზე" მათი დამარცხება შესაძლებელია. ხოლო დიდას, ისევე, როგორც ყველა მეკარეს, შეცდომის უფლება აქვს და პირველი გოლი რომ გაუშვა, ვერ დავადანაშაულებ".

კარლო ანჩელოტი: „ერთი საათის განმავლობაში უპირატესობა ჩვენი იყო და ფრე უფრო სამართლიანი შედეგი იქნებოდა. დასანანია, რადგან ბრიყვულად მოვიქეცით და მეტოქეს გამარჯვება ვაჩუქეთ. 2:2-ის შემდეგ ბურთი ველარ დავიჭირეთ, ისევე, როგორც პირველ ტაიმში. ვიცოდით, რომ „მანჩესტერი" აგრესიულად და მაღალ ტემპში გვეთამაშებოდა, მაგრამ მაინც ვერ მოვახერხეთ ფრის შენარჩუნება. არა უშავს, ვფიქრობ, რომ ახლა უკეთეს ფორმაში ვართ, ვიდრე „ბაიერნთან" მატჩებისას და ეს მაიმედებს. გატუზო ალბათ მოასწრებს გამოკეთებას საპასუხო შეხვედრისთვის. ის ძალიან მნიშვნელოვანი კაცია გუნდისთვის — სული და გულია. სამწუხაროა ისიც, კაკამ მესამე რომ ვერ გაიტანა. ამის მერე მომენტი აღარც გვქონია და, ჩემი აზრით, ეს უფრო ფსიქოლოგიური პრობლემაა, რადგან ბიჭები უკვე არწაგებაზე ზრუნავდნენ. რუნის გამთანაბრებელი გოლის შემდეგ მცვლელებს საქმე მოემატათ, რადგან „მანჩესტერის" ფლანგები ძალიან გააქტიურდნენ. ამიტომ ვცადეთ გრძელი პასებით ჯილარდინოს მომარაგება, მაგრამ მარტო ვერას გახდებოდა".

მატჩის წინ მიმომხილველები წერდნენ, ეს იქნება კაკას და კრიშტიანუ რონალდუს პირადი შეჯიბრი „ოქროს ბურთის" მოსაპოვებლადო. ბრაზილიელმა საუცხოოდ ითამაშა პირველ ტაიმში და ორი გოლი გაიტანა. მეორე ხომ მთლად ზღაპრული იყო. კაკამ, შეიძლება ითქვას, თავით გააკეთა ფინტი და ერთმანეთს შეახეთქა ევრა და ჰაინცე.

„გაზეთებში კი წერენ, რომ ეს ჩემი და რონალდუს დუელია, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. ესაა „მანჩესტერის" და „მილანის" ორმატჩიანი დუელი. „ოქროს ბურთს" რაც შეეხება, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რას მოვიგებ მე „მილანთან" ერთად. პირველ რიგში გუნდია მთავარი და მერე პირადი ჯილდო. ვიმედოვნებ, რომ ჩემი გოლები და საპასუხო მატჩში ქომაგების მხარდაჭერა ფინალში გასვლაში ძალიან დაგვეხმარება. ზეედორფის პასით მესამის გატანა შემეძლო, მაგრამ ბურთს ვერ მივწვდი. ფავორიტად „მილანი" მიმაჩნია. „ბაიერნთან" პირველი მატჩის შემდეგაც ვთქვი და ვიმეორებ, ჩემპიონთა თასის ასაღებად ისეთი თამაში უნდა მოიგო, ისტორიაში რომ შევა. სწორედ ასეთი მატჩი მოვიგეთ მიუნხენში და, დარწმუნებული ვარ, „სან სიროზეც" შევძლებთ გამარჯვებას. მეხუთე წუთზევე რომ გაგვიტანეს, არ გამკვირვებია, რადგან „მანჩესტერი" ყოველთვის გიჟურად იწყებს ხოლმე და მაშინვე „რომა" გამახსენდა, მაგრამ „მილანმა" ხასიათი გამოავლინა და ჩემმა პირველმა გოლმა თავდაჯერება შეგვმატა".

ალექს ფერგიუსონი: „ჩვენ ბრწყინვალედ ვითამაშეთ და იგივეს ვიტყვი „მილანზეც". უცნაურია, რომ ასეთ კარგ მატჩში ბავშვური შეცდომების გამო ორი გოლი გავუშვით. „მილანის" დარ გუნდთან 1:2-ის შემობრუნება ძალიან ძნელია. შესვენებისას ფეხბურთელებს ვუთხარი, ტემპს თუ მოვუმატებთ, შანსი აუცილებლად გვექნება-მეთქი. მეორე ტაიმში იყო მომენტები, როცა დაბნეულად გამოვიყურებოდით და კაკას მესამე გოლის გატანა მართებდა. ასეთ შეხვედრებში იღბალიც საჭიროა და ის ჩვენს მხარეს იყო, თუმც, ვფიქრობ, ჩვენ ოდნავ უკეთესები ვიყავით „მილანზე". ასე სწრაფად თუ ვითამაშებთ, სტუმრადაც გავიტანთ. რაც შეეხება კაკას, მან ორი კოხტა გოლი კი გაგვიტანა, მაგრამ კრიშტიანუ რონალდუც საუცხოოდ თამაშობს მთელი სეზონი. ვინმემ შეიძლება თქვას, რომ მსოფლიოში საუკეთესო კაკაა, მაგრამ მე მაინც რონალდუ მიმაჩნია".

**ვაჟა ხუციშვილი**

AFP

# მადრიდის რეალი WEB-ჩემპიონია

**ესპანეთის** პრიმერადივიზიონის დასრულებამდე 7 ტურით ადრე ჩემპიონატში რომ უკიდურესად დაძაბული მდგომარეობაა, ალბათ მოგეხსენებათ. ლიდერობას ჯერჯერობით კატალონიური „ბარსელონა“ ინარჩუნებს 59 ქულით, მას „სევილია“ მოჰყვება და 58 ქულით, მესამეზე კი „რეალია“ 57 ქულით, ხოლო მეოთხე-მეხუთეზე მყოფ „სარაგოსასა“ და „ვალენსიას“ ლიდერზე 6 ქულით ნაკლები აქვთ.

ამასთან დაკავშირებით ცნობილმა ესპანურმა გამოცემა „მარკამ“ თავის ვებგვერდზე გულშემატკივრებს შორის საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა, რომელშიც 127 ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

კითხვა ასეთი გახლდათ: ვინ მოიგებს პრიმერადივიზიონს?

გამოკითხულთა უმეტესობა ფიქრობს, რომ ჩემპიონი „რეალი“ გახდება. მადრიდელებმა ხმების 42,9 პროცენტი მოაგროვეს და მეტოქეები საგრძნობლად ჩამოიტოვეს. „ბარსელონამ“ მხოლოდ 34,6 პროცენტი დაიმსახურა. „სევილიას“ გაჩემპიონებისა გამოკითხულთა 12,9 პროცენტს სჯერა. „სარაგოსამ“ 5,5 პროცენტი მიიღო, ხოლო „ვალენსიამ“ — 3,9 პროცენტი.

„ჩვეულებრივ საფეხბურთო მოვლენასთან გვაქვს საქმე, რომელსაც იგნორირებას ვერ გავუკეთებთ. ფაქტია, რომ ერთ-ერთი გუნდი, ამ შემთხვევაში „რეალი“, ყოველ ტურში უფრო და უფრო ამცირებს ლიდერთან სხვაობას“ — აღნიშნა ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ლუის არაგონესმა.

**კოკი კანდელაკი**

# მოჰამედმა რანიერი მოიკითხა

**„ფულემი“** პრემიერლიგაში ადგილს თუ შეინარჩუნებს, მწვრთნელად, შესაძლოა, კლაუდიო რანიერი დაუნიშნონ. „სანის“ ინფორმაციით, იტალიელმა უკვე მიიღო ოფიციალური შეთავაზება „ფულემის“ პატრონ მოჰამედ ალ ფაიედისგან.

„ჩელსის“ ყოფილ თავკაცს სახლი აქვს დასავლეთ ლონდონში და ბოლო სამი წლის განმავლობაში არაერთხელ უნახავთ „ფულემის“ სტადიონზე. ამჟამად გუნდს ლოური სანჩესი წვრთნის, რომელიც იმავდროულად ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებსაც ხელმძღვანელობს. ალ ფაიედს არ უნდა, რომ მომავალ სეზონშიც ასე გაგრძელდეს — სანჩესმა ორი კვირის წინ გათავისუფლებული კრის კოულმენი შეცვალა.

რანიერიმდე „ფულემის“ პატრონმა მწვრთნელობა სვენ გორან ერიკსონს და კევინ კიგანს შესთავაზა და უარი მიიღო.

**ვაჟა ხუციშვილი**




## ლიბერტადორესის თასი 2007

III ჯგუფი. VI ტური

**ბრემიო** (ბრაზილია) 1:0 **სერო პორტენო** (პარაგვაი)

1:0 ევერტონი (70)

**დეპორტეს ტოლიმა** (კოლუმბია) 3:4 **კუკუტა დეპორტივო** (კოლუმბია)

0:1 ა. კასტილიო (19), 1:1 ჩარია (38), 1:2 დ. მარტინესი (42), 2:2 კინტერო (49), 3:2 ჩარია (63პ), 3:3, 3:4 ბ. პერესი (71, 86)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრემიო | 6 | 3 | 1 | 2 | 4:4 | 10 |
| კუკუტა დეპორტივო | 6 | 2 | 3 | 1 | 9:7 | 9 |
| დეპორტეს ტოლიმა | 6 | 2 | 1 | 3 | 5:6 | 7 |
| სერო პორტენო | 6 | 2 | 1 | 3 | 4:5 | 7 |

# ჩემი ფეხბურთელები მშიშრები ყოფილან

## ოტმარ ჰიცფელდი ახალ ბაიერნს აკეთებს

**მიუნხენის „ბაიერნი“ ღრმა კრიზისშია — ვერც ბუნდესსამეულში ხვდება, ჩემპიონთა ლიგიდანაც გავარდა და საერთოდაც, უკვე რა ხანია, ვერაფრით ამახსოვრებს თავს გულშემატკივარს. „ბაიერნის“ თემა გერმანულ პრესაში ყოველთვის აქტუალური იყო და, მით უმეტეს, ახლა. რა ეშველება გუნდს, რამ გამოიწვია ჩავარდნა, რისი იმედი უნდა ჰქონდეთ მიუნხენელებს — ამ და სხვა საკითხებზე „ბაიერნის“ თავკაც ოტმარ ჰიცფელდს „კიკერი“ ესაუბრა...**

**— ჰერ ოტმარ, „ბაიერნმა“ ბოლო მატჩი შტუტგარტში საზიზღრად ჩაატარა. რატომ თამაშობდა თქვენი გუნდი ასე ცუდად?**

— პირველ ტაიმში ძალიან უღიმღამოდ და აგრესიის გარეშე ვითამაშეთ. ერთადერთი, რასაც ჩემს ფეხბურთელებზე ვიტყოდი ესაა — მათ სიცოცხლის არანაირი ნიშანი არ ეტყობოდათ. რაც მატჩისწინა ვარჯიშებზე დავამუშავეთ, ყველაფერი წყალში გადაყარეს.

**— და რატომ მოხდა ასე?**

— ჩვენ ბედს არ უნდა დავემორჩილოთ. როცა საკუთარ კარში გოლს მიიღებ, მოდუნება არ შეიძლება. გუნდმა ზეწოლას ვერ გაუძლო, სათანადო შემართებაც გვაკლდა და სამწუხაროა, მაგრამ შიშიც ეტყობოდათ. როცა ეს ყველაფერი ასე ცხადია, ვეღარაფრის გაკეთებას ვეღარ მოახერხებენ. ესაა სიმართლე!

**— მაინც გჯერათ მესამე ადგილზე გასვლის?**

— ამის იმედი აქამდეც მქონდა და ახლაც მაქვს. რეალურად ვუყურებ მომავალს და ხუთი ქულის აღმოფხვრის იმედიც მაქვს. „შტუტგარტს“ მიონხენგლადბახში თამაში გაუჭირდება და დარჩენილი ოთხი მატჩიდან ყველას ნამდვილად ვერ მოიგებს. ჩვენი მთავარი მიზანი კი თორმეტი ქულის მოპოვებაა.

**— „შტუტგარტთან“ მატჩის წინ თქვით, რომ „ბაიერნი“ მაინც გავა საპრიზო ადგილზე...**

— ეს ჩემი აზრია და, როგორც მიუნხენელთა მწვრთნელს, სხვა რამის თქმა არც შემიძლია.

**— თქვენმა გუნდმა კი იმედი გაგიცრუათ. კიდევ რისი გაკეთება შეგიძლიათ?**

— მართლაც კრიტიკულ სიტუაციაში ვართ, მით უმეტეს, მაშინ, როცა ძალიან ბევრი სატრანსფერო ჭორი დადის. კლუბის დატოვება რამდენიმე მოთამაშეს სურს და ეს იმის საშიშროებას ქმნის, რომ გუნდი საბოლოოდ გატყდეს. ამას კი ნამდვილად არ დავუშვებ.

**— ვინ მიდის და ვინ მოდის?**

— კრებაზე გადავწყვიტეთ, რომ ტრანსფერებზე საჯაროდ არ ვისაუბროთ. ექვსი-შვიდი ახალი ფეხბურთელი აუცილებლად მოვა „ბაიერნში“, რაც უკვე ნახევარი გუნდია. ეს ნამდვილად დიდი გარდატეხა იქნება „ბაიერნისთვის“.

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## რიკარდუ კაკა

**ნახევარმცველი**

დაიბადა 1982 წლის 22 აპრილს ქ. ბრაზილიაში

სიმაღლე: 1,86 მეტრი

წონა: 79 კგ

კარიერა:

2001-03 წლები — „სან პაულუ“ (58 მატჩი, 23 გოლი),

2003 წლიდან — „მილანი“ (128 მატჩი, 37 გოლი)

2002 წლიდან თამაშობს ბრაზილიის ნაკრებში (50 მატჩი, 18 გოლი)

## AUDI Q7

გამოშვების თარიღი: 2006 წელი

სიგრძე: 5,085 მეტრი

სიგანე: 1,984 მეტრი

სიმაღლე: 1,697 მეტრი

წონა: 2 245 კგ

ცილინდრი: 6

ძრავის კუბატურა: 3,6

ავტომატური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 250 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 7,4 წამში

ფასი: 55 000 დოლარი

# უეფას თასი 2006-2007
## 1/2 ფინალი. პირველი მატჩები

# სამად გაჭრილი სევილია

**დღეს**

**ესპანიოლი (ესპანეთი) — ვერდერი (გერმანია)**
**ოსასუნა (ესპანეთი) — სევილია (ესპანეთი)**

**„სევილიას“** მწვრთნელ ხუანდე რამოსს სასიამოვნო პრობლემა აქვს გადასაწყვეტი — ოთხივე ფორვარდი საუცხოო ფორმაშია და არ იცის, რომლები ათამაშოს. ფრედერიკ კანუტზე ალბათ უარს ვერ იტყვის, რადგან პრიმერადივიზიონში 19 გოლი გაიტანა, ხოლო ვის დაუყენებს მალელს გვერდით, დღეს გაარკვევს. ლუიშ ფაბიანომ გასულ უქმეებზე „ბილბაოსთან“ დუბლი შეასრულა, ხოლო ალექსანდრ კერჟაკოვმა და ერნესტო ჩევანტონიმ თითო-თითო შეაგდეს.

„ძალიან კარგია, როცა არჩევანის საშუალება აქვს მწვრთნელს — თქვა ფაბიანომ — ჩემპიონატის დასრულებამდე კიდევ შვიდი ტურია და თითოეული ჩვენგანი საბრძოლველად მზადაა“.

„სევილია“ პრიმერადივიზიონში „ბარსელონას“ ერთი ქულით ჩამორჩება, სამეფო თასის ფინალში ცალი ფეხით გასულია, რადგან „დეპორტივოს“ პირველ ნახევარფინალურ მატჩში სტუმრად 3:0 მოუგო, აქ კიდევ უეფას თასის ნახევარფინალი და, ამ თასის შარშანდელი მფლობელი სამივე ჯილდოსთან ახლოსაა.

ზედიზედ ორჯერ უეფას თასი ბოლოს „რეალმა“ აღმართა 1985-86 წლებში და ხუანდე რამოსსაც იგივეს გამეორება ამოუჭრია გულში: „ჩვენ არ ვანიჭებთ უპირატესობას რომელიმე შეჯიბრს. მხოლოდ იმაზე ვფიქრობთ, რომ ყველა დარჩენილი მატჩი მოვიგოთ“.

კრისტიან პოულსენი მწვრთნელს ეთანხმება: „მე ყველა ჯილდოს მოგება მინდა. ეს ძნელი იქნება, მაგრამ ძალიან კარგი გუნდი გვყავს და სამივე ტურნირში გამარჯვება შესაძლებელია“.

„ოსასუნა“ ჩემპიონატში „სევილიას“ აპრილის დასაწყისში შინ უგოლოდ ეთამაშა, პირველ წრეში კი სტუმრად 0:2 წააგო ფრედერიკ კანუტის და ადრიანუს გოლებით. სამაგიეროდ, პამპლონელებმა სევილიელები ესპანეთის თასის მეოთხედფინალიდან ორჯერ (2003 და 2005 წლებში) გააძევეს.

„ჩვენი მეტოქე მაღალი კლასის გუნდია, მაგრამ სულაც არ გვეშინია მათი, რადგან საამმატჩოდ საგანგებოდ ვემზადებოდით“ — თქვა „ოსასუნას“ მცველმა კარლოს კუელიარმა.

შეგახსენებთ, რომ პამპლონური კლუბი უეფას თასზე შინ არ დამარცხებულა. მასპინძლებს დააკლდებათ ნახევარმცველი ჟავაჟ ნეკუნამი, ხოლო სტუმრებს რენატო. სამაგიეროდ, „სევილიას“ გამოუკეთდა მეკარე პალოპი, რომელმაც „ტოტენჰემთან“ ლონდონური მატჩი გამოტოვა.

„ესპანიოლი“ ტურნირის საუკეთესო მეგოლით, ვალტერ პანდიანით დაუხვდება ბრემენის „ვერდერს“. ურუგვაელმა ფორვარდმა 10 გოლი გაიტანა და „მუსიკოსებიც“ სწორედ მას უნდა უფრთხილდნენ, მაგრამ ვერც მასპინძელთა მცველები ისეირნებენ, რადგან მიროსლავ კლოზეც ფორმაში შევიდა თვენახევრიანი ჩავარდნის შემდეგ.

ბარსელონაში კი იხსენებენ უეფას თასის 1988 წლის ორმატჩიან ფინალს. მაშინ „ესპანიოლმა“ შინ 3:0 სძლია „ლევერკუზენს“, მაგრამ სტუმრად ასეთივე ანგარიშით დამარცხდა და პენალტებში 2:3 წააგო.

„ჩვენი ქომაგები 20 წლის წინანდელი მარცხის გამო რევანშს ითხოვენ გერმანულ კლუბთან და თითოეულ ფეხბურთელს ეს კარგად გვესმის. ცხადია, „ვერდერი“ ფავორიტია, მაგრამ ასეთი ფავორიტების ძლევა უკვე მოვახერხეთ და ვინ იცის, ეგებ ამჯერადაც ვიმარჯვოთ. მთავარია, ისეთი ანგარიშით მოვიგოთ, რომ საპასუხო მატჩისთვის მარაგი გვქონდეს, რადგან ბრემენში ძალიან გაგვიჭირდება“ — თქვა „ესპანიოლის“ მცველმა დანიელ ხარკემ.

სტუმრებს არ ეყოლებათ პერ მერტესაკერი, ტიმ ბოროვსკის თამაში კი საეჭვოა — შესაძლოა, იგი ფრანკ ბაუმანმა შეცვალოს, რომელსაც ტრავმის გამო ხუთი თვე გაუცდა.

„ესპანიოლს“ კი გამოუკეთდა ლიდერი და გუნდის თილისმა რაულ ტამუდო, ვინც პანდიანისთან ერთად შეუტევს „მუსიკოსებს“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# იუშჩენკომ ევროპა თავის თავზე აიღო



**ევრო 2012-ის** საორგანიზაციო კომიტეტს უკრაინაში თვით პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო უხელმძღვანელებს. მან საშშაბათს მოაწერა ხელი კომიტეტის შექმნის ბრძანებას, რომელშიც 24 წევრია. მათ შორის: ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გრიგორი სურკისი, ნაკრების მწვრთნელი ოლეგ ბლოხინი, კაპიტანი ანდრეი შევჩენკო, „შახტარის“ და „მეტალურგის“ პატრონები — რინატ ახმეტოვი და სერგეი ტარუტა, მოკრივე ვიტალი კლიჩკო (პრეზიდენტის მრჩეველი) და ოლიმპიური კომიტეტის შეფი სერგეი ბუბკა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## რიბერი მართალი კაცია

**სპორტის** საარბიტრაჟო სასამართლომ სტამბოლის „გალათასარაის“ სარჩელი არ დააკმაყოფილა. თურქები ფრანკ რიბერის ანაცვლოდ „მარსელს“ 10 მილიონ ევროს სხდებიდნენ, მაგრამ ვერ ახერხებენ.

რიბერი 2005 წლის იანვარში გადავიდა „გალათასარაიში“ და სამწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა, ხუთი თვის შემდეგ კი თვითნებურად მიატოვა გუნდი, რადგან ოთხი თვის ჯამაგირი არ მისცეს და „მარსელში“ აღმოჩნდა. სტამბოლური კლუბი ამტკიცებდა, რომ კონტრაქტის ასე დარღვევის საკომპენსაციოდ „მარსელისგან“ 10 მილიონი ეკუთვნოდა, თუმც სასამართლომ რიბერის წასვლა გაამართლა — რაკი ხელფასს არ უხდიდით, ხელშეკრულების ცალმხრივად დარღვევის უფლება ჰქონდაო.

## ბაშთურქი შტუტგარტს ემუქრება

**„შტუტგარტმა“** თითქმის მოაგვარა „ჰერტადან“ ილდირაი ბაშთურქის ტრანსფერი. თურქმა ნახევარმცველმა ბერლინურ კლუბს კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარი უთხრა და სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი გახდება. „შტუტგარტი“ კი ჩემპიონთა ლიგისკენ მიმავალ გზაზეა და 28 წლის ბაშთურქს ლიგაში თამაშის პერსპექტივა ხიბლავს.

„მოლაპარაკება კარგად მიდის და შეთანხმებას მცირე დეტალების მოგვარებაღა აკლია“ — თქვა შტუტგარტელთა სპორტულმა დირექტორმა ჰორსტ ჰელდტმა.

სავარაუდოდ, თურქი გამთამაშებელი ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

## პავონი და ბოლტონელი ექიმი

**მადრიდის** „რეალის“ მცველ ფრანსისკო პავონს უკვე გაუვლია სამედიცინო შემოწმება ინგლისურ „ბოლტონში“ და ესპანურ მედიას თუ დავუჯერებთ, მომავალი სეზონიდან პრემიერლიგაში ითამაშებს — სემ ალარდაისის გუნდთან იგი ოთხწლიან ხელშეკრულებას მოაწერს ხელს.

პავონის კონტრაქტი „რეალთან“ ამ ზაფხულს იწურება და კლუბმა მას გახანგრძლივება არ შესთავაზა. ამიტომაც იზრუნა მომავალზე 27 წლის მცველმა, თუმც ამას წინათ განაცხადა, „რეალის“ ძირითად შემადგენლობაზე ვფიქრობ და მხოლოდ ივნისში გაირკვევა ჩემი მომდევნო გუნდიო.

## ცხვრის სუპი

**ხორვატული** „ზაგორას“ მცველი ივიცა სუპი გოლეადორობისთვის სპონსორისგან ჯილდოდ ცხვრის ფარას მიიღებს — კლუბის ერთადერთი სპონსორი იქაური ფერმერი იოსკო ბრალიჩია.

სეზონის წინ ბრალიჩი მწვრთნელს შეჰპირდა, რომ საუკეთესო მეგოლეს თითო გატანილისთვის ერთ ცხვარს აჩუქებდა. სუპმა კი უკვე 16 ბურთი გაიტანა და სეზონის დასრულებამდე ალბათ კიდევ მოასწრებს.

„ზაგორა“ მესამე დივიზიონის გუნდია, ბრალიჩის საჩუქრების შესახებ კი სეზონის დაწყებამდე არ იცოდნენ და მხოლოდ ახლაღა გაამხილეს ეს ამბავი.

## კალინიჩენკო გაიაფდა

**მოსკოვის** „სპარტაკი“ 3 მილიონ დოლარად ყიდის მაქსიმ კალინიჩენკოს. უკრაინელი ნახევარმცველი ვერ ჩაეწერა ვლადიმირ ფედოტოვის გუნდში და ამიტომაც აპირებენ მის გაშვებას.

დეკემბერში კიევის „დინამოს“ უნდოდა ფეხბურთელის შეძენა, მაგრამ „სპარტაკმა“ მაშინ 4 მილიონი მოითხოვა და გარიგება არ შედგა. ახლა კი, როცა კალინიჩენკო ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება, მოსკოველებმა ფასს დაუწიეს.

## მომავლის ვენგერი

**„დიარიოსპორტის“** ცნობით, მადრიდის „რეალს“ არსენ ვენგერი უნდა მწვრთნელად 2008-2009 წლების სეზონისთვის. ფრანგი ინგლისის ნაკრების სავარაუდო თავკაცთა სიაშიცაა და ეს იმიტომ ხდება, რომ მისი კონტრაქტი „არსენალთან“ მომავალ ზაფხულს იწურება. ამგვარად, ვენგერზე „მონადირენი“ წინასწარ ცდილობენ ფრანგის დაბევებას.

თუ „რეალი“ მოახერხებს არსენალელთან მორიგებას, მაშინ ფაბიო კაპელოს კიდევ ერთი სეზონით დატოვებენ და 2008 წლის ზაფხულში იტალიელს ფრანგი შეცვლის.

## ნურისტების ბრძოლა

**„არსენალი“** ნური საჰინისთვის ბრძოლაში ჩაერთო — წერს „დეილი მეილი“.

„დორტმუნდის“ 18 წლის თურქ ნახევარმცველს ძალიან აქებენ და მისით მილანის „ინტერიცაა“ დაინტერესებული. „ჩელსის“ სპორტული დირექტორი ფრენკ არნესენი კი თურმე უკვე ორი წელიწადია, აკვირდება თურქეთის ნაკრების იმედს.

2005 წელს საჰინმა ორი ბუნდესლიგური რეკორდი დაამყარა — ის გახდა ყველაზე ახალგაზრდა დებიუტანტი და გოლის ავტორი. გარდა ამისა, 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე „ბრინჯაოს ბურთით“ დააჯილდოვეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ინგლისი განადგურდა

## ალან ბოლი გარდაიცვალა

**საფეხბურთო** სამყარომ კიდევ ერთი ვარსკვლავი დაკარგა: სამშაბათ საღამოს 61 წლისა გულის შეტევით გარდაიცვალა ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი და მწვრთნელი ალან ბოლი.

შესანიშნავი კარიერისა და თამაშის გარდა, ქართველ ქომაგს იგი განსაკუთრებით კიდევ ერთი რამის გამო ეხსომება — ბოლი „მანჩესტერ სიტიში" გიორგი ქინქლაძის მწვრთნელი იყო და აღფრთოვანებას ვერ მალავდა მაშინ მართლაც ბრწყინვალე ფორმაში მყოფი „ქინქით" — ბოლი გიოს მწვრთნელი კი არა, ფანი უფრო იყო.

1945 წლის 12 მაისს დაბადებულ ჯეიმს ალან ბოლს ფეხბურთელობისას ცხრა გუნდის ღირსება დაუცავს, მწვრთნელობისას კი 6 გუნდს თავკაცობდა.

1966 წლის მუნდიალის გამარჯვებულს ეროვნულ ნაკრებში 72 მატჩი აქვს ჩატარებული და 8 გოლი გატანილი.

15 წლის ბოლის პირველი კლუბი „ბოლტონი" გახლდათ. პროფესიული კარიერა კი „ბლექპულში" დაიწყო, სადაც გაატარა კიდეც თავისი საუკეთესო წლები, თუმც არანაკლები წარმატებით ითამაშა „ევერტონში" და „არსენალშიც".

დახვეწილი ტექნიკით, ერთი შეხებით ბრწყინვალე პასებითა და მოედნის ჩინებული ხედვით გამორჩეული ნახევარმცველის კარიერის პიკი, რა თქმა უნდა, 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი იყო.

მოგეხსენებათ, მაშინ ინგლისელები პირველად და ჯერჯერობით ერთადერთხელ გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები. სერ ალფ რამსეის შეგირდების ამ დიდ წარმატებაში ბოლმა ლომის წვლილი შეიტანა — 21 წლის ალანი ინგლისის ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა წევრი გახლდათ.

ინგლისელთა მაშინდელი დიდი გუნდის ლიდერებად სერ ბობი ჩარლტონი, მისი ძმა ჯეკი, ბობი მური და სხვანი ითვლებოდნენ. გერმანელებთან 4:2 მოგებულ ფინალში სერ ჯეფრი ჰერსტმა ჰეთ თრიქი შეასრულა, მაგრამ ფინალის საუკეთესო მოთამაშედ სწორედ ბოლი აღიარეს.

ბოლის მამა 1982 წლის იანვარში კვიპროსში ავტოავარიაში დაიღუპა.

2004 წელს ალანმა ავტობიოგრაფიული წიგნი „PLAYING EXTRA TIME" გამოსცა, რომელსაც გვარიანი კრიტიკა მოჰყვა.

ბოლისთვის უძნელესი იყო ის პერიოდი, როცა მის მეუღლესა და ქალიშვილს კიბო აღმოაჩნდათ. მისი მეუღლე 2004 წლის 16 მაისს 57 წლის ასაკში საკვერცხეების კიბოს გამო სამწლიანი ტანჯვის შემდეგ გარდაიცვალა.

უმძიმეს დღეში ჩავარდნილმა ბოლმა ოჯახის ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად 2005 წლის მაისში მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალი და სამახსოვრო კეპი აუქციონზე 40 ათას გირვანქად გაყიდა.

ბოლოს იგი SKY SPORT-ში ჟურნალისტად მუშაობდა და განახლებული „უემბლის" გახსნის მატჩის (ინგლისისა და იტალიის ახალგაზრდულ გუნდებს შორის) კომენტატორი გახლდათ....

სერ ბობი ჩარლტონი: „1966 წელს იგი რომ არ გვყოლოდა, მეეჭვება, მსოფლიოს ჩემპიონები გავმხდარიყავით. იმ პერიოდში ბოლი ალბათ საუკეთესო გახლდათ მსოფლიოში. ალანი თითქოს არასდროს ნერვიულობდა და ყველას გვამხნევებდა, საქმეს დიდი შემართებითა და ენთუზიაზმით აკეთებდა. ყოველთვის მომღიმარი და მხიარული იყო. ალანი საოცარი ფეხბურთელი გახლდათ, ბურთთან ბრწყინვალე შეხებითა და მოედნის ხედვით. იგი სწრაფი არ იყო, მაგრამ ეს არც სჭირდებოდა. ყოველთვის იცოდა, რა უნდა ექნა და სწორ გადაწყვეტილებას იღებდა. ამ ამბით გაოგნებული და უაღრესად დამწუხრებული ვარ. იგი ძალიან მომენატრება."

სერ ჯეფრი ჰერსტი: „1966 წელს ბოლი ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა წევრი იყო და ფინალის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. იგი ბრწყინვალე ფეხბურთელი გახლდათ. მისი გარდაცვალებით ყველანი განადგურებულნი ვართ."

„ბურთთან ერთი შეხებით ასე მოთამაშე ფეხბურთელი პირადად მე არ მინახავს. როცა ვიტყოდი, რომ ბურთთან ერთი შეხებით ვარჯიშს ვიწყებდით, თავისი პატარა თვალებით შემომხედავდა და მეტყოდა — „ნახევარი შეხებით გავაკეთებ, ბოს" — განაცხადა „საუთჰემპტონში" ბოლის ექსმწვრთნელმა ლორი მაკმენემიმ.

**გიორგი კაკაბაძე**

# რა გიხარიათ?!

## ნედვედს იბრაჰიმოვიჩი შემოელანძღა

**ტურინის** „იუვენტუსი" „ემპოლის" ნიჭიერ ნახევარმცველ სერჯო ალმირონის ყიდულობს. ეს ფეხბურთელის აგენტმა კლაუდიო ვაგეჯიმ და ტოსკანელთა პრეზიდენტმა ფაბრიციო კორსიმაც დაადასტურეს, თუმცა არგენტინელს სხვა მსურველებიც ჰყავს.

„ალმირონი „იუვენტუსში" მართლაც გადადის. ტურინელებმა სხვებთან შედარებით უფრო დამაჯერებელი და მისაღები წინადადება შემოგვთავაზეს, თუმცა ის ინფორმაცია, რომ სერჯო უკვე იუვენტუსელია, უსაფუძვლოა. იგი პროფესიონალი და კარგი ფეხბურთელია, რომელსაც სხვა მსურველებიც ჰყავს. მათ შორის არის „ინტერიც", რომლის წარმომადგენლებსაც მალე დაველაპარაკებით. „ინტერის" შემთხვევაში ბევრი რამ დავიდ პიზაროზეა დამოკიდებული — თუ ჩილელი „ნეროაძურიში" არ დაბრუნდება და „რომაში" დარჩება, მილანელები ალბათ ყველანაირად შეეცდებიან, ალმირონი ხელში ჩაიგდონ" — თქვა ვაგეჯიმ.

ამასობაში „იუვეს" შვედი ვეტერანი პაველ ნედვედი „ინტერის" მიერ მოპოვებულ სკუდეტოს გამოეხმაურა. შეგახსენებთ, რომ კალჩოპოლის სკანდალის შემდეგ ტურინელებს 2005 და 2006 წლების სკუდეტოები ჩამოართვეს, თან 2006 წლისა „ნეროაძურის" გადასცეს.

„ჩემი აზრით, ინტერელებმა დაიმსახურეს ეს ჩემპიონობა, თუმცა ცოტა არ მესიამოვნა, როცა მოზეიმეთა შორის რამდენიმე ჩვენი ყოფილი თანაგუნდელი დავინახე, მაგალითად, ზლატან იბრაჰიმოვიჩი. გული მატკინა იმანაც, რომ მათ განაცხადეს, ეს სკუდეტო პატიოსნად და დამსახურებულად მოვიპოვეთო. წინა წლებში არც მე და არც ჩემს თანაგუნდელებს არაფერი უპატიოსნო არ ჩაგვიდენია. სკუდეტოები ჩვენც დამსახურებულად მოვიპოვეთ და ამ ტიტულებს ვერავინ წაგვართმევს. ხალხმა სიმართლე იცის — ჩვენ, ფეხბურთელებს, არაფერი ჩაგვიწყვია, წარმატებებს თამაშით მივაღწიეთ და ის ვერდიქტები საფუძველს მოკლებულია" — განაცხადა 34 წლის ნედვედმა.

„იუვენტუსი" სერია B-ს დამაჯერებლად ლიდერობს — ტურინელები მეორე ადგილზე მყოფ „ნაპოლის" 7 ქულით უსწრებენ, თუმცა სერია A-ს საგზური ჯერ არ გაუნაღდებიათ.

„მოდუნების უფლება არ გვაქვს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომავალი სამი მატჩი. არ ვიცი, როდის გავინაღდებთ სერია A-ს საგზურს, იქამდე კი მინდორზე მოსაგებად უნდა გავიდეთ. ყველაფერი კარგად მიდის და იმედია, ასე გავაგრძელებთ. ჩემი მომავალი? იგი „იუვენტუსს" უკავშირდება. კლუბს ვენდობი და ხელმძღვანელების გეგმების მჯერა. დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონში სერია A-ში ისევ სერიოზული ძალა ვიქნებით, მაგრამ ჯერ სერია B გვაქვს მოსაგები" — დასძინა ნედვედმა.

**გიორგი კაკაბაძე**

## გალასიც რეალურია

**მადრიდის** „რეალი" უილიამ გალასის გადაბირებას ეცდება — ამტკიცებს „დეილი მირორი". „ჩელსიდან" „არსენალში" გადასულ ფრანგს არცთუ კარგი სეზონი გამოუვიდა.

„რეალის" სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი მომავალ კვირაში ლონდონში ჩავა. იგი „მეთოფეებს" რეიესის და ბაპტისტას მომავალზე დაელაპარაკება, რომლებიც გუნდებმა შარშან გაცვალეს. ამასთან ერთად მიატოვიჩი „არსენალს" გალასის ტრანსფერზეც ჩამოუგდებს სიტყვას და, როგორც ამბობენ, 29 წლის ფრანგში 15 მილიონ გირვანქას შესთავაზებს.

ზოგიერთი არსენალელის მსგავსად, გალასი უკმაყოფილოა ვიცეთავმჯდომარე დევიდ დინის გადადგომით და თქვა, რომ თუ ვენგერიც დინს გაჰყვება, თვითონაც სხვა გუნდში გადასვლაზე იზრუნებს.

## რომას ჰარაგვაულ-ურუგვაული

**ალვარო რეკობას** სეზონის ბოლოს „ინტერიდან" წასვლა უნდა, „რომას" კი — რეკობა. ურუგვაელ ნახევარმცველს მოსწყინდა მილანურ კლუბში, სადაც ათი წელი გაატარა. მისი კონტრაქტი ამ ზაფხულს იწურება და თავისუფალი აგენტი გახდება. ამდენად რომაელები მას მუქთად ჩაიგდებენ ხელში.

გარდა ამისა, „ვლადიატორები" „ბაიერნსაც" დაუკავშირდნენ და როკე სანტა კრუზის ფასი ჰკითხეს, რომელსაც მიუნხენში დარჩენა აღარ სურს. პარაგვაელ ფორვარდს სათადარიგოთა სკამის ხეხვა მობეზრდა.

„რომა" მომავალი სეზონისთვის გუნდის გასაძლიერებლად 23 მილიონ ევროს მიიღებს. ამ თანხის ნაწილი „ნანტიდან" ნათხოვარი კრისტიან ვილჰელმსონის კონტრაქტის გამოსყიდვაზე და „სიენადან" მცველ კრისტიან მოლინაროს შეძენაზე დაიხარჯება.

## ოუენის ათთვიანი ორშაბათი

**მაიკლ ოუენი** ალბათ მომავალ ორშაბათს დაბრუნდება „ნიუკასლის" შემადგენლობაში და „რედინგის" წინააღმდეგ ითამაშებს — ამის შესახებ „კაჭკაჭთა" მწვრთნელმა გლენ რიოდერმა განაცხადა.

ოუენი მსოფლიოს განლილ ჩემპიონატზე დაშავდა და ათთვიანი მკურნალობა ახლა დასრულა. 27 წლის ფორვარდის გამოჩენას „ჩელსისთან" მატჩში ელოდნენ, მაგრამ მწვრთნელმა არ გარისკა და ნატანჯი ბიჭი კიდევ ერთი კვირით დაასვენა.

„ძალიან ჰუმანური აქციაა, ყველა ბავშვი გახარებულია და მთავარიც ესაა — თქვა „ავიაშენის“ ლიდერმა ზვიად ბაბიაშვილმა — სასიამოვნო განცდაა, როცა ამ ბავშვების სახეებზე ასეთი სიხარულია აღბეჭდილი. ჩვენ ადრეც ვიყავით აქ და ორთაჭალის ბავშვთა სახლებში, რაც, ვფიქრობ, სამაგალითო უნდა იყოს.“

როცა ავლაბრის სახლის ბინადრებმა საჩუქრები ჩამოირიგეს, მერე თამაშის დროც დადგა. ოლ სტარის მონაწილეები პატარებში გაერივნენ და წაუკალათბურთეს.

შაბათს, 28 აპრილს, ხუთს რომ 15 წუთი დააკლდება, ნამდვილი კალათბურთი გახურდება ვერის ბაღში და ავლაბრის მიუსაფარ ბავშვთა სახლის ბინადრები უკვე ტრიბუნიდან უყურებენ კეთილ ბიძიებს.

**ირაკლი პერტაია**

24 აპრილი

## აღმოსავლეთი



### მაიამი 0:2 ჩიკაგო

**ჩიკაგო 107:89 მაიამი**

**ჩიკაგო:** გორდონი (27), დენგი (26), ჰაინრიხი (14), ბრაუნი (10), ნოჩიონი (10)
**მაიამი:** ვეიდი (21), ონილი (17), კაპონო( 11), უოლკერი (11), პოუზი (11)



### ტორონტო 1:1 ნიუ ჯერსი

**ტორონტო 89:63 ნიუ ჯერსი**

**ტორონტო:** პარკერი (26), ბოში (25 ქულა, 13 მოხსნა), ფორდი (13)
**ნიუ ჯერსი:** კარტერი (19 ქულა, 11 მოხსნა), ნახბარი (17), კიდი (14 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი), ჯეფერსონი (17)

## დასავლეთი

### ფინიქსი 2:0 ლეიკერსი

**ფინიქსი 126:98 ლეიკერსი**

**ფინიქსი:** ბარბოსა (26), სტუდემაიერი (20), მერიონი (18 ქულა, 10 მოხსნა), ნეში (16 ქულა, 14 პასი), ჯონსი (12)
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (15), ოდომი (10 ქულა, 10 მოხსნა), ფარმერი (10), ევანსი (10)

# სლოუნს რა? უმადურობა

**გუშინწინ** ჟურნალისტებმა სეზონის კიდევ ერთი ინდივიდუალური ჯილდოს მფლობელი გამოავლინეს. სეზონის საუკეთესო მწვრთნელის ტიტული სრულიად მოულოდნელად „ტორონტო რეპტორზის“ თავკაც სემ მიტჩელს შეხვდა, რომელმაც შესაძლო 128 პირველი ხმიდან 49 მიიღო, სულ გამოკითხვაში 394 ქულა დააგროვა და აჯობა „იუტა ჯაზის“ მწვრთნელ ჯერი სლოუნს (301 ქულა). მესამე იყო „დალას მავერიკის“ პატარა გენერალი აივერი ჯონსონი (268 ქულა).

შორიდან თქმა ადვილია (ან ძნელია), მაგრამ ასე ჩანს, რომ ეს ტიტული სლოუნს უფრო ეკუთვნოდა, თუნდაც „იუტაზე“ გაწეული ბარე 20-წლიანი ამაგისთვის. ეს კაცი არ დაღლილა, მის გუნდებს ყოველთვის ეტყობათ მცოდნე მწვრთნელის ხელი, თუნდაც ეს გუნდები სრულიად საშუალო გაქანების მოთამაშეებით იყვნენ დაკომპლექტებულნი. „ტორონტოს“ 47-მოგებიანი სეზონი კი უფრო გუნდის გონივრული მენეჯმენტის შედეგად ჩაითვლება, ვიდრე მწვრთნელ მიტჩელის პირად დამსახურებად.

# შაკი შაყს გადაურჩა, მარცხს ვერა



**ხომ** ამხელაა შაკილ ონილი და ენაც შესაფერისი სიგრძისა აქვს. მისთვის ავტორიტეტი არ არსებობს — ჩარლზ ბარკლისთან უჩხუბია, დევიდ რობინსონი ქალად მოუხსენიებია, დევიდ შტერნისთვის მესაკუთრე უწოდებია და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი დაფასებული ადამიანისთვის მოუქნევია თავისი შოლტივით ენა. თუ რაღაც, ან ვიღაც არ მოუვიდა თვალში, სულ არ შეიწუხებს თავს ენაზე კბილების დაჭერით.

„ჩიკაგოსთან“ პირველი თამაშის წაგებით გაგულისებულმა დევშაკმა მსაჯი ედი რაში ამოიღო თვალში და მეზობლის ბალივით ჯიქურ მიადგა — „ეგ ჩ...ისა სულ გადავიდა თავის რელსებიდან“. ასეთ ფრაზებს ნბა-ში ყურსაც ათხოვებენ და ჯარიმებსაც უწერენ, მაგრამ შაკის ნათქვამი ლიგის დისციპლინარებმა, როგორღაც გააატარეს და ონილიც სულ ცოტა 5-ათასიან ჯარიმას გადაურჩა.

შაკს ვერც მეორე თამაშმა გამოუკეთა გუნება — „მაიამიმ“ ამჯერად 18 ქულით წაავო და სერიაში 0:2 ჩამორჩა „ჩიკაგოს“. ონილს უბრალოდ აღარ მისცემია ვინმეზე ვერბალური იერიშის მიტანის საბაბი, სათქმელიც არაფერი ჰქონდა — მისმა გუნდმა პირწმინდად დათმო ახალგაზრდულ და შემართულ „ჩიკაგოსთან“. ის მხოლოდ თავისთვის თუ ბურტყუნებდა, ცუდად ვითამაშეთო. პირადად მან საძაგლად ითამაშა — 7-ჯერ დაკარგა ბურთი და ბლომად სროლები აფუჭა, ხოლო ის, რომ 5 საჯარიმოდან ერთიც არ აუცილებლია და 17 ქულა შეუგროვდა, დიდი ვერაფერი ნუგეშია.

ჩიკაგოელებმა თავიდანვე აგრძნობინეს სტუმრებს ახალგაზრდული ძალა, როცა პირველი მეოთხედი 10 ქულით მოუგეს და მესამე მეოთხედში 14 ქულით დაწინაურებულებმა ახლოს აღარ აგიკარეს ვეტერანი ჩემპიონები. ჩიკაგოელთა მხრიდან კვლავ საუკეთესოები იყვნენ 24 წლის ბენ გორდონი და 22 წლის ლუოლ დენგი.

ამასობაში კიდევ ერთ აღმოსავლურ წყვილში „ტორონტომ“ „ნიუ ჯერსის“ სერიაში ანგარიში გაუთანაბრა და ორი გასვლითი თამაშის წინ ცოტა სული მოითქვა.

წარმატებული დღე იყო ტორონტოელებისთვის. გამარჯვების გარდა ერთი სასიამოვნო სიახლეც შეიტყვეს — მათი თავკაცი სემ მიტჩელი სეზონის საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა.

სეზონის საუკეთესო მწვრთნელი ბოლო და ბოლოს მიხვდა, რა ხერხით ებრძოლა „ნიუ ჯერსის“ წინააღმდეგ. ამ გუნდს ხომ ნენად კრსტიჩის დამტვრევის შემდეგ ხეირიანი მეფარე აღარ შერჩა და ძირითადად უკანახაზელებით ან მსუბუქი ფორვარდებით გადის ფონს. „ტორონტოს“ კი არსენალში ერთი მძლავრი მეფარე მოეპოვება — კრის ბოში, რომელიც ვერ მოგახსენებთ, სად იყო პირველ შეხვედრაში, აი, მეორეში კი ნამდვილად სანაქებოდ ირჯებოდა და „რეპტილიათა“ გამარჯვებაში დინოზავრის წილი დაიდო.

დასავლეთში მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართა. „ლეიკერსის“ ლიდერმა კობი ბრაიანტმა პირველ თამაშში 39 ქულა უყელა „ფინიქსს“ და ახლაც საკმაოდ კარგად დაიწყო — პირველ მეოთხედში 9 ქულა გააკეთა, მაგრამ მერე გახევდა, მთელ შეხვედრაში 15 ქულას დასჯერდა (ვითომ ტრავმაც კი მიიღო) და მის ჩაუქობაზე აწყობილმინდობილი „ლეიკერსიც“ პირწმინდად განადგურდა.

**კოტე ყორღია**

# ევროლიგამ ფერნანდესი დაინახა

**ევროლიგის** ოთხთა ფინალი მაისის დასაწყისში გაიმართება, მანამდე კი ამ ტურნირის თავკაცები ინდივიდუალურ ტიტულებს არიგებენ. გუშინ დასახელდა ევროლიგის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშე. ასაკობრივი ცენზი 1984 წლის 1 იანვარი იყო, ანუ 22 წელი. საუკეთესოდ აღიარეს ესპანური „ხუვენტუდის“ ფორვარდი რუდი ფერნანდესი, რომელიც ამ ევროლიგის 19 მატჩში საშუალოდ 15.8 ქულას, 3.8 მოხსნას, 2.1 ჩაჭრას და 1.7 პასს ითვლიდა. „ამომავალი ვარსკვლავის“ ტიტულის მოგების კანდიდატები ასევე იყვნენ: ფერნანდესის თანაგუნდელი, 16 წლის რიკი რუბიო, ტაუელი ტიაგო სპლიტერი და პარტიზანელი კოსტა პეროვიჩი.

ცოტა ხნის წინ ევროლიგამ პირველი ინდივიდუალური ტიტულის მფლობელი დასახელა. ლიგის სნაიპერი „ტაუს“ უკანახაზელი იგორ რაკონევიჩი გახდა.

# ოთხთა ფინალის რვა მსაჯი

**უკვე** ცნობილია მსაჯთა ის ბრიგადები, რომლებიც 4 და 6 მაისს ევროლიგის ოთხთა ფინალის 4 მატჩს მოემსახურებიან. მთელი თამაშები 8 მსაჯის მხრებზე გადაივლის: ნიკოს პიცილკასი (საბერძნეთი), ლუიჯი ლამონიკა (იტალია), ილია ბელოშევიჩი (სერბეთი), ბორის რიუჩი (უკრაინა), თოლგა შაჰინი (თურქეთი), საშა პუკლი (სლოვენია), ხუან მიტხანა (ესპანეთი) და ედი ვიატორი (საფრანგეთი).

# წმენდა სიეტლში

**ცუდი** შედეგების გამო NBA-ს გუნდის „სიეტლ სუპერსონიქსის“ ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელი და გენერალური მენეჯერი დაითხოვა. ბობი ჰილის მწვრთნელობითა და რიკ სანდის მენეჯერობით სიეტლელებმა გასულ სეზონში 82-დან მხოლოდ 31 მატჩი მოიგეს, რაც გუნდის ბოლო 20-წლიან ისტორიაში უცუდესი შედეგია. საერთოდ კი 31-ზე ნაკლები გამარჯვება „სიტლს“ მხოლოდ სამჯერ დაუგროვდა თავისი არსებობის 40 წლის მანძილზე.

## ეროვნული ნაკრები

## ეს თავი დაუნერელი წიგნიდან

ბაბრა დოლელიძეს ფოტო

# ზაურ ცხადაძის მკლავის საიდუმლო: სვირის ინდაურები

სტალონეს ის ფილმი ხომ გახსოვთ, თავზე ქუდს რომ მოიტრიალებს, ერთს დაიღრიჯება და მაგიდასთან დამჯდარ ბოხვერა მეტოქეებს ხელს ბავშვებივით უგრეხს. მაშ, ისიც გაიხსენეთ, რომ ქართულ მკლავჭიდს ჰყავდა ერთი ისეთი კაცი, რომელიც ასეთ დაბღვერილ და ქუდშებრუნებულ გოლიათებს ერთმანეთის მიყოლებით ამარცხებდა. მძიმე წონაში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ზაურ ცხადაძეს ახალგაზრდობაში არ უვარჯიშია მკლავჭიდში. ის კი არა, სვირის სკოლა ისე დაამთავრა, აქტიური სპორტსმენიც კი არ ყოფილა. დევივით იმერელი ბიჭი ლამის შემთხვევით მოხვდა მკლავჭიდში გაქანებული პერესტროიკის დროს და მსოფლიოს უღონიერეს ხალხს მრავალჯერ აგემა ქართული მკლავის ძალა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ბაბრა ლელიძეს ფოტო

ლუკა კურტანიძე: მე ფალავნებთან ვჭიდაობ და არა გოლიათებთან

**სკოლა** ისე დავამთავრე, სპორტის არც ერთ სახეობაში არ მიცდია ბედი. ფიზკულტურაშიც სამადლოდ მიწერდნენ ოთხიანს. მერე თბილისში ჩამოვედი. ტანად დიდი ვიყავი და შემომთავაზეს, კალათბურთში დამეწყო ვარჯიში. ცოტა ხანში ჯემალ ცერცვაძემ ხელბურთზე გადამიყვანა და სწორედ იმ პერიოდიდან ჩავერთე სერიოზულ სპორტულ ცხოვრებაში. თან საცხოვრებელი პირობებიც შემიქმნეს და მეტი რა მინდოდა, ისეთი მონდომებული ვიყავი, დღეს და ღამეს ვასწორებდი.

ამ დროს ახალგაზრდულ დონეზე ხელბურთში გარკვეული ექსპერიმენტი ტარდებოდა — 11 მეტრზე შორიდან გატანილი გოლები 2-ქულიანად ითვლებოდა, მე კი სულ ასეთებს ვიტანდი.

ნელ-ნელა ყველაფერი კარგად აეწყო და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მოვხვდი. ანპილოგოვის გუნდის დუბლებში ვთამაშობდი, თან არცთუ ურიგოდ, მაგრამ წონის გამო სახეობის შეცვლის გადაწყვეტილების მიღება მომიხდა. ვერ ვიტყვი, სიმსუქნემ შეშალა-მეთქი. უბრალოდ, ძვალმსხვილი ვიყავი — 202 სანტიმეტრი სიმაღლისა 110 კილოგრამს ვიწონიდი.

...ვაკის ფალავანთა კლუბში მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატს ვუყურებდი. მეგობრებს ვუთხარი, ხალიჩაზე შემიშვით და ახლავე ჩემპიონი გავხდები-მეთქი. მართლაც დავიწყე ვარჯიში და მალევე პირველ ტურნირზე გავედი. ძალა, იცოცხლეთ, მერჩოდა, მაგრამ ილეთები ჯერ წესიერად არ ვიცოდი და პირველივე წრეში წავაგე ქულებით. პირველი მეტოქის სახელი და გვარიც მახსოვს — მათე სვანიძე მაშინ საქართველოში უძლიერესი იყო. მარცხიანმა დასაწყისმა სტიმული მომცა და საქმეს უფრო დიდი ინტერესით მოვეკიდე. საერთაშორისო ტურნირებზე სიარულიც დავიწყე. რამდენიმე მოვიგე კიდეც. „ლოკომოტივის“ მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ჩემპიონიც გავხდი. ერთ დღეს ფალავანთა კლუბის უკან მოედანზე ვიყავით, როცა ვახტანგ მუსელიანი მოვიდა და უნივერსიტეტში მკლავჭიდის ტურნირზე გამოსვლა შემომთავაზა. ამ სახეობის შესახებ მხოლოდ ერთი ამერიკული ფილმით ვიცოდი, რომელიც იმ პერიოდში მთელ საქართველოში ძალიან პოპულარული იყო.

...ტურნირი დაიწყო და მივხვდი, რომ ყველაფერი ისე ადვილი არ იყო, როგორც შორიდან ჩანდა. მკლავჭიდის წესებს ვგულისხმობ, თორემ ჯანი არ მაკლდა. თავიდანვე წავაგე, ოღონდ ისე, რომ ხელი არ გადაუწევიათ. რაღაც ტექნიკური დარღვევების გამო გამარჯვებულად წესების უკეთ მცოდნე მეტოქე გამოაცხადეს. მეორე ტურნირი საქართველოს ჩემპიონატი იყო და ჩემპიონი გავხდი. გაკეთდა ქართული გუნდი და პირველ საერთაშორისო ტურნირზე, მოსკოვში წავედით.

...რუსეთის დედაქალაქში დიდი ტურნირი — „მასკოვსკიე მედვედი“ ჩატარდა და მასზე ისეთი გარეგნობის ხალხი შეიკრიბა, ცოტა არ იყოს, შეშეშინდა. საქართველოში ყველას კი ვაჯობე, მაგრამ რას ვიფიქრებდი, თუ ამ ძალით უცხოელების დამარცხებაც შემეძლო.

...ჭყინტი ყველივით გემრიელად მივყევი. შესახედად ბევრი ჩემზე ტანადი იყო, მაგრამ მკლავში ძალა აშკარად აკლდათ. ხელს ისე ადვილად ვუწევდი, მეგონა, წინააღმდეგობის გაწევა არ უნდოდათ. ფინალში რუს კულტურისტს შევხვდი. საშინელი ტანი ჰქონდა და წარმოიდგინეთ, დარბაზი როგორ დაუჭერდა მხარს. ქართველები კი ტრიბუნებზე თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ, მაგრამ ისე მქომაგობდნენ, ყველას ხმას ფარავდნენ. პირველივე კონტაქტზე შევატყვე, რომ ჩემი მომგები არ იყო. სწრაფადვე მოვუმთავრე საქმე. ჩემპიონი კი გავხდი, მაგრამ კიდევ ერთი რუსი გამომიყვანეს, როგორც თქვეს, აბსოლუტური ჩემპიონის გამოსავლენად. მასაც მოვუგე და ქართველებს გადმოვძახე, ამ ბორშზე გაზრდილებმა როგორ უნდა მომიგონ სვირის ინდაურებზე გაზრდილს-მეთქი.

...უძლიერეს მკლავჭიდელს მთავარ პრიზად ავტომობილი „ლინკოლნ ლუქსი“ ელოდა, ოღონდ არა საჩუქრად, როგორც მაშინ ხმა გავრცელდა, არამედ მხოლოდ რამდენიმე დღით. საოცრად ლამაზი მანქანა თბილისში გამომგზავრებამდე, 4-5 დღით მემსახურებოდა. თუკი მოსკოვში ვინმე ქართველი იყო, ყველა ვასეირნე. ერთად იმდენი ვგროვდებოდით, კარები ძლივს იხურებოდა.

...ჩემს მოსკოვურ გამარჯვებას საქართველოშიც დიდი რეზონანსი ჰქონდა. აქ გამოაცხადეს, ცხადაძეს „ლინკოლნ ლუქსი“ აჩუქესო. არადა, ვინ მომცემდა, მგონი, მთელ საბჭოთა კავშირში სულ სამი ცალი დადიოდა. ზესტაფონში მეკითხებოდნენ, მანქანა რა უყავიო. მეც ვპასუხობდი, სვირში დავაყენე, ბევრ ბენზინს წვავს-მეთქი...

...ზესტაფონის რაიკომის მდივანმა კი დამიბარა, რა მანქანა გინდაო. მაშინ მანქანის თავის ფასში გამოყვანა უბრალო მოკვდავისთვის ძალიან ძნელი იყო. ვუთხარი, ვილისი მინდა-მეთქი. გაეცინა, რამე უკეთესი აირჩიეო. ბოლოს 06-ზე შევთანხმდით.

...შემდეგი საერთაშორისო ტურნირი უკვე ევროპის ჩემპიონატი იყო. მასზეც იგივე გრძნობით ჩავედი, როგორითაც მოსკოვში, საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ და, საბედნიეროდ, ისევე „გამიცრუდა“ იმედი. გიჟური შესახედაობის ხალხი ხელის გადასაწევ მაგიდასთან მისვლამდე მაშინებდნენ, იქ კი ისეთ დღეში ვარდებოდნენ, შეგეცოდებოდათ. ოქროს მედალი ისე ავიღე, წინააღმდეგობა არავისგან მიგრძვნია. ბიჭებთან ვხუმრობდი, ნახეთ, ბებიაჩემის ინდაურებმა და ფეროს კვამლის ყლაპვამ აქაც გაჭრა-მეთქი. ამის შემდეგ ცხრავჯერ გავხდი ევროპის ჩემპიონი. მსოფლიოზე კი ზედიზედ ხუთი წელი არავისთან არ წამიგია.

...პირველი მარცხი 85-კილოგრამიან ამერიკელ ბზენკთან ვიწვნიე. საშუალო ტანის, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი აღნაგობის ბიჭს ისეთი ძალა აღმოაჩნდა, კინაღამ გავგიჟდი. მისი დარი მკლავჭიდელი არც იქამდე და არც მას შემდეგ არსად შემხვედრია. წაგება, რა თქმა უნდა, საწყენი იყო, მაგრამ სამაგიეროდ, ინტერესი გამეზარდა. როგორც იქნა, გამოჩნდა კაცი, ვისთან დაჭიდებასაც აზრი ჰქონდა. სანამ მეორედ შევხვდებოდი, დამეგობრებაც მოვასწარით და თავისი ტექნიკის საიდუმლოც გამიმხილა. სწორედ ამ საიდუმლოთი ძალუმ შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე.

...მკლავჭიდს ისე შევეშვი, მოწინააღმდეგისთვის მძიმე ტრავმა არ მიმიყენებია. თავიდანვე რომ გიჟივით გადაწევის სტილი მქონოდა, ალბათ სულ ცოტა, ნახევარზე მეტს ხელ მოვტეხდი, მაგრამ მერჩივნა, შედარებით წყნარად დამეწყო. მეტოქის ხელს რომ მოვსინჯავდი, მაშინვე ვხვდებოდი, რა ძალის პატრონი იყო და რა მომენტშიც მინდოდა, მაშინ ვუწევდი ხელს. ერთხელ, ევროპის ჩემპიონატზე, ამ ტაქტიკამ კინაღამ დამღუპა. ინიციატივა შეგნებულად დავთმე, მოწინააღმდეგემ კი უცებ თითები გადამატარა და ისე დამაწვა, ხელი თითქმის ბოლომდე დამადებინა. მსგავსი პოზიციიდან გაქცევა და მოგება საშინლად ძნელია. კარგა ხანს ვიწვალე, მაგრამ ხელს ვერც ვასწორებდი და არც ვაგებდი. ბოლოს, როგორც იქნა, მდგომარეობა გამოვასწორე და საწყის პოზიციაში რომ აღმოვჩნდი, უკვე მივხვდი, მოგება წამის საქმე იყო. კმაყოფილმა მაყურებლებს გადავხედე. იქვე მდგომ გივი მაისურაძეს კი გავუღიმე და თვალი ჩავუკარი. ეს კაცი მკლავჭიდელებს ფინანსურად გვეხმარებოდა. სახეზე ფერი აღარ ედო და ჩემი არხეინი გამოხედვა რომ დაინახა, ისე გაბრაზდა, კინაღამ ზემოთ ამომივარდა. ეგონა, ეს სცენა სპეციალურად გავათამაშე. არადა, მართლა კინაღამ წავაგე.

...ძალე წესების გარეშე ბრძოლაშიც მოვსინჯე ძალა. ივან იარიგინმა მე, დავით გობეჯიშვილსა და გია გალდავას იაპონიაში ჩასვლა და სერიოზული ვარჯიშის დაწყება შემოგვთავაზა. კონტრაქტები გავაფორმეთ და ახალი იაპონური ცხოვრებაც დაიწყო. ყველაზე დასამახსოვრებელი ის იყო, რომ სახლი, სადაც უნდა გვეცხოვრა, ჩემი ზომის კაცზე არ იყო გათვალისწინებული. ჭერი დაბალი იყო. ამ პრობლემას ვერაფერი მოუხერხეს, სხვები ყველა გამოასწორეს, საწოლიც კი თავიდან შეუკვეთეს. ქართველები ფიზიკურად დიდები კი ვიყავით, მაგრამ ვარჯიშის დაწყებისთანავე მივხვდით, რომ მარტო ამ უპირატესობით და ჩვენი ტიტულებით ვერავის შევაშინებდით. იქ ოლიმპიური ჩემპიონობაც კი არავის აინტერესებს. შეიძლება, ვიღაც ყველასთვის უცნობი გიჟი გამოვარდეს და სასწაულად იჩხუბოს. მზადების პერიოდში 80-კილოგრამიანებიც კი გვიგებდნენ, თუმცა ნელ-ნელა ისეთ ფორმამდე მივედით, უკვე ნებისმიერთან შეიძლებოდა ჩხუბი.

...იაპონიაში ორწელიწადნახევარი გავჩერდი და ამ ხნის განმავლობაში ოთხი ბრძოლა ჩავატარე. კონტრაქტი ხუთწლიანი იყო, მაგრამ აზიელებს რაღაც პრობლემები შეექმნათ და ვადაზე ადრე წამოვედით. მას შემდეგ რინგზე ერთადერთხელ, თბილისში ავედი. საშინლად დავიღალე, მაგრამ მაინც მოვიგე. იმ შეხვედრის შემდეგ სპორტთან აღარანაირი შეხება აღარ მქონია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ახლაც რომ მივუბრუნდე მკლავჭიდს, აუცილებლად ძველებურ წარმატებებს მივაღწევ. სერიოზულად დაბრუნებაზე არ ვფიქრობ, სხვა საქმით ვარ დაკავებული, თუმცა მომავალში იქნებ ბავშვების ვარჯიშიც დავიწყო.

ბადრი კეთილაძის ფოტო

# ბეგი დარჩიამ ევროპა გაარჩია

ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრების თავკაცი ბეგი დარჩია ბულგარეთიდან ჩემპიონ შეგირდებზე ერთი დღით ადრე დაბრუნდა და ევროპირველობის გმირებზე ადრეც მოასწრო მილოცვების მიღება. მისალოცი კი მართლაც ჰქონდა. მისი შვიდეულიდან სოფიის ხალიჩაზე ექვსი კაცი გავიდა და მათგან ორმა ყველა ბრძოლა მოიგო. მანუჩარ კვირკველიას და რამაზ ნოზაძის დასახვედრად თბილისის აეროპორტში შეკრებილ ხალხში დარჩიაც ტრიალებდა. კლასიკოსთა მთავარი მწვრთნელი აეროპორტის ფოიეში თვითმფრინავის დაფრენამდე ლამის ერთი საათით ადრე გამოჩნდა და ინტერვიუზეც სიამოვნებით დაგვთანხმდა. ჩემპიონატის შეფასებასა და სანაკრებო გეგმებზე საუბრის პარალელურად კი მილოცვებსაც იღებდა

„ევროპის ჩემპიონატის ორი მედლით მოვლა ზოგადად საუკეთესო შედეგი ვერაა, მაგრამ როცა ორივე ოქროსია, საწუწუნო აღარაფერია. ეს შედეგი საუკეთესოა დამოუკიდებელი საქართველოს ნაკრების ისტორიაში. ასეთი დონის ტურნირზე ორი ჩემპიონი არასოდეს არ გვყოლია. ბიჭების გამოსვლით კმაყოფილი ვარ და მჯერა, მომავალ დიდ ტურნირებზე წარმატების კიდევ უფრო მეტი შანსი გვექნება. ამის იმედს სახელმწიფოსა და ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მხარში დგომა მაძლევს.

...ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, დავით ბედინაძის სამეულს მიღმა დარჩენაა. მშვენივრად იყო მომზადებული და სიმართლე გითხრათ, მასზე მედალს ვგეგმავდით. ამ ბიჭმა მართლა ჩვეულად იჭიდავა და მიზანსაც მიაღწევდა, საქმეში მსაჯები რომ არ ჩარეულიყვნენ. მეოთხედფინალში მასპინძელს ხვდებოდა და აშკარად დაჩაგრეს. სამწუხაროდ, მთლად ისეც ვერ იჭიდავა, მეტოქისთვის და მსაჯებისთვის ერთად რომ ეჯობნა და ნახევარფინალშიც ბულგარელი გავიდა. ისღა დაგვრჩენოდა, ამ ბულგარელის ფინალში გასვლისთვის გვეგულშემატკივრა, მაგრამ შემდეგ შეხვედრაში მასპინძელს ვეღარც მსაჯებმა მოაგებინეს და ბრინჯაოს მედლის შანსიც დავკარგეთ. ბედინაძის დაჩაგვრას თუ არ ჩავთვლით, არაობიექტურობაზე სასაუბრო ბევრიც არ გვაქვს. იყო თითო-ოროლა უსამართლობა, მაგრამ წინა წლებში ჩატარებულ დიდ ტურნირებთან ამ მხრივ შედარებაც არაა. ადრე უფრო მეტად ვიჩაგრებოდით ხოლმე.

...მანუჩარ კვირკველია და რამაზ ნოზაძე ულაპარაკოდ საუკეთესონი იყვნენ თავიანთ წონებში და ეს შედეგშიც აისახა. კვირკველიას ფინალის რეპორტაჟი აქაც გადმოიცა და ნახავდით, როგორ გაუსწორდა შვეიცარიელ მოწინააღმდეგეს და მსაჯებს ერთად. იმ შეხვედრის გარდა მანუჩარმა რამდენიმე ისეთი ილეთი გააკეთა, სპეციალისტები ამბობდნენ, ჩემპიონატის ყველაზე ტექნიკური მოჭიდავეაო. ასეც იყო. არაობიექტური მსაჯობა და მოწინააღმდეგე ერთად ნოზაძემაც ჩამოიცილა. მისი დაჩაგვრა ნახევარფინალში სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ფინალში კი ნოზაძემ უძლიერეს შვედ ჯიმი ლიდბერგს აჯობა.

...ირაკლი ჭოჭუა მედლის გარეშე დასანანი შეცდომის გამო დარჩა. ორი წრის გავლის შემდეგ უკრაინელ მოჭიდავეს შეხვდა. მეტოქე არც ისე ძლიერი იყო, მაგრამ, მოულოდნელად ირაკლი თავის წამოწყებულ ილეთზე წამოეგო. არადა, ცოტა ყურადღებით რომ ემოქმედა, სულ ცოტა, ბრინჯაოს მოიპოვებდა. მუხრან მაჭუტაძეს პრიზიორებში შესასვლელად ერთი ნაბიჯი დააკლდა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ. ნაკრებში ორი წლის წინაც იჭიდავა, მსოფლიოს ჩემპიონატზე და აშკარაა, მას შემდეგ საგრძნობლად მოუმატა. იმედია, პროგრესი მომავალშიც გაგრძელდება. ბადრი ხასაიამ ტურნირი ევროპის შარშანდელი ფინალისტის ძლევით დაიწყო, მაგრამ მეორე წრეში ასევე ძლიერ მეტოქესთან სამსეტიან ბრძოლაში დამარცხდა. იმ შეხვედრის ბედი მონეტის აგდებამ გადაწყვიტა. უფრო იღბლიანი ხასაიას მოწინააღმდეგე აღმოჩნდა. მძიმეწონოსანმა რევაზ ჭელიძემ ტრავმის გამო ვერ შეძლო ხალიჩაზე გასვლა. მას კენჭისყრაში მონაწილეობა მაინც მივაღებინეთ და გულახდილად გეტყვით, ისეთი ბადე შეხვდა, ჯანზე რომ ყოფილიყო, აუცილებლად ფინალში გავიდოდა.

...ევროპის ჩემპიონატი და მასზე მოგებული ორი ოქრო მალე უნდა დავივიწყოთ და მომავალი დიდი ტურნირისთვის, სექტემბერში ჩასატარებელი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადება ნულიდან დავიწყოთ. ბაქოში ოლიმპიური ლიცენზიებიც გათამაშდება. ასე რომ, მეტი მობილიზება გვმართებს. ოდნავადაც არ უნდა მოვეშვათ და უნდა გვახსოვდეს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გაცილებით დიდი კონკურენცია გველის“.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# სპორტული ფოტოგრაფიის პირველი კონკურსი ბადრი კეთილაძისთვის კეთილად დასრულდა

**სპორტული** ფოტოგრაფია და პორტრეტული ფოტოგრაფია „შუქით წერის“ ურთულეს საქმედ ითვლება. ფოტორეპორტიორებისთვის სპორტული ფოტოგრაფია იგივეა, რაც მფრინავებისთვის უმაღლესი პილოტაჟი. ამიტომაც გაგვიკვირდა, რომ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ სპორტული ფოტოგრაფიის პირველ კონკურსზე საკმაოდ ბევრი მონაწილე ჩაება, მათგან კი საბოლოოდ 17 ავტორის 150-მდე ნამუშევარი შეარჩიეს და საგამოფენო დარბაზ „კოპალაში“ გამოფინეს.

გამარჯვებული ფოტოების ყველაზე დაინტერესებული მნახველი რამაზ ნოზაძე იყო

ბადრი კეთილაძის ფოტო

ვერ ვიტყვით, რომ კონკურსის ყველა მონაწილემ მხატვრული თვალსაზრისით უმაღლესი პილოტაჟი კარგად შეასრულა, მაგრამ მათი რეპორტიორული მზერის უნარი ნამდვილად დასაფასებელია. ისიც აღსანიშნავია, რომ მათ მზერა მიუპყრიათ არა მხოლოდ ჩვენში ძალზე პოპულარული ფეხბურთის, კალათბურთის, რაგბისა და ჭიდაობისთვის, არამედ ფარიკაობის, მოტობურთის, საჰაერო ბურთებით ფრენის, მთამსვლელობისა და სხვა სახეობებისთვის.











რაც შეეხება საკონკურსო ჟიურის, მეტი ობიექტურობისთვის შედეგების გამოცხადებამდე მათი ვინაობა გასაიდუმლოებული იყო, გუშინ კი გაირკვა, რომ ეს საქმე ბადრი ვადაჭკორიას მეთაურობით შუქით წერის ოსტატთა იმ წარმომადგენლებისთვის მიუნდიათ, რომლებიც სპორტული ფოტოგრაფიისგან შორს დგანან, თუმცა სხვა სფეროებში აქტიურად საქმიანობენ და მახვილი მზერითაც გამოირჩევიან.

ჟიურის გადაწყვეტილებით პირველი პრემია და ფულადი ჯილდო 700 ლარის ოდენობით გაზეთ „სარბიელის“ ფოტოჟურნალისტმა ბადრი კეთილაძემ მოიპოვა ფოტოსერიით „ვიწყებ და ვამთავრებ“, რომელზეც 2004 წლის ათენის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი და 2007 წლის ევროპის ჩემპიონი რამაზ ნოზაძეა აღბეჭდილი. მეორე პრემია და 500 ლარის ოდენობის ფულადი ჯილდო გაზეთ „ოლიმპის“ ფოტოჟურნალისტს ზურაბ გენგიურს ერგო. მესამე პრემია და 300 ლარი კი გაზეთ „ლელოს“ ფოტოკორესპონდენტმა ნუგზარ სუარიძემ მიიღო. რაც შეეხება სპეციალურ ნომინაციას „ფოტო წარსულიდან“, აქ ჟიურიმ საუკეთესოდ მიიჩნია „ლელოს“ სტაჟიანი ფოტოკორესპონდენტის ალექსანდრე კოტორაშვილის ნამუშევარი „საფეხბურთო ბალეტი“. ის 500-ლარიანი პრემიის მფლობელი გახდა.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, სპორტულ ჟურნალისტთა სტიმულირებისა და წახალისების მიზნით, სხვადასხვა სახის კონკურსები მომავალშიც გაიმართება.

**ავთანდილ ბჟვიშელი**

# ორნი ძირითად ბადეში

**ერთბაშად** ორი ქართველი — ანა ტატიშვილი და სალომე დევიძე ითამაშებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, სი აილენდის თიხნარზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 50-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში. ჩვენებურებმა ამას საკვალიფიკაციო ეტაპზე წარმატებული თამაშისა და სამ-სამი მეტოქის ძლევით მიაღწიეს.

ანამ ბრიტანელი კარენ პეტერსონისა და ავსტრიელი ტინა შიხტლის დამარცხების შემდეგ 6:2 6:3 დაჯაბნა ვეტერანი ბულგარელი, 33 წლისა და მიმდინარე რეიტინგში 616-ე ადგილზე მყოფი სვეტლანა კრივენჩევა. აღსანიშნავია, რომ ტატიშვილმა სამივე მეტოქეს ძალზე იოლად მოუგო და სამივე მათგანს, მხოლოდ ხუთ-ხუთი გეიმი დაუთმო.

ადვილად — 6:2 6:2 იმარჯვა დევიძემაც, რომელმაც რუსი კონტრატიევასა და სლოვენიელი რამპრეს შემდეგ 29 წლის ამერიკელი, კლასიფიკაციაში 539-ე ადგილზე მყოფი ლინდსი ლი-ვეტეირსი დაჯაბნა.

ძირითადი შეჯიბრის პირველ წრეში ქართველებს გაცილებით ძლიერი მეტოქეები ეყოლებათ. დევიძე მე-2 ნომრად განთესილ 22 წლის რუმინელ ედინა გოლოვიცს ხვდება, ვინც რეიტინგში 105-ე ადგილზეა, ხოლო ტატიშვილის მოწინააღმდეგე განთესვის მე-8 ნომერი, 21 წლისა და კლასიფიკაციაში კარიერის უმაღლეს 140-ე ადგილზე მყოფი ჩეხი სანდრა ზაჰლავოვაა.

# ფედაკის არა მაკას

**წარმატებული** საფედთასო ბატალიების, ანუ მას შემდეგ, რაც საქართველოს ნაკრები ფედერაციის თასის ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფიდან პირველში ავიდა, ჩვენი გუნდის ლიდერი მაკა ჩახნაშვილი სარეიტინგო ტურნირებს საფრანგეთში, კან სურ მარის თიხნარზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე საკმაოდ წარმომადგენლობით, 100-ათასიან შეჯიბრზე დაუბრუნდა. თუმცა მავრიკეთში გამართული სანაკრებო მატჩებისგან განსხვავებით, საფრანგეთში მაკამ წარუმატებლად ითამაშა.

ერთი კია, ჩახნაშვილს წილისყრამ არ გაუმართლა და პირველივე წრეში მეტოქედ განთესვის მე-7 ნომერი, 23 წლის უკრაინელი იულია ფედაკი არგუნა, ვინც მიმდინარე რეიტინგში 122-ეა, მაგრამ შარშან 63-ე ადგილზეც კი იყო ასული.

ფედაკისა და ჩახნაშვილის დაპირისპირება მეტად დაძაბული გამოდგა. ქართველმა პირველი სეტის 4:6 წაგების შემდეგ მეორე 6:1 მოიგო და გადამწყვეტ პარტიაში კი ყველაფერი ტაიბრეიკზე გაირკვა, რომელშიც ფედაკმა 8:6 იმარჯვა. საბოლოოდ 6:4 1:6 7:6 უკრაინელის სასარგებლოდ.

# ნადალით გათანგული

AFP

**რაფაელ ნადალთან წაგებებმა როჯერ ფედერერი დაღალა**

**როჯერ ფედერერის** ფანტასტიკური თამაშისა და მიღწევების, ზედიზედ მოგებული დიდი თუ პატარა ტურნირებისა და დამყარებული რეკორდების შემდეგ გენიალური შვეიცარიელისთვის არაერთხელ „დაუბრალებიათ“, ადამიანი კი არა, რობოტიაო — გამარჯვებების მომპოვებელი მანქანა, რომლის შეჩერებაც თითქმის შეუძლებელია.

მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, არც ფედერერისთვის ყოფილა უცხო ადამიანური ემოციები, კონკრეტულად კი მეტოქის შიში — ყოველ შემთხვევაში, მაშინ, როცა რაფაელ ნადალთან თიხნარზე თამაშზე მიდგება საქმე. მონტე კარლოს ფინალში დამარცხების შემდეგ „მხიარული როჯერი“ ჟურნალისტებს შეხვდა და ხმამაღლა აღიარა, რომ ესპანელ ვარსკვალბიჭუნასთან თიხნარზე თამაშისას ლამის მუხლები უკანაკალებს.

„რა თქმა უნდა, ძალიან ბედნიერი ვიყავი, ზედიზედ მეოთხე საგრუნტო ტურნირის ფინალში რომ გავედი. მაგრამ რად გინდა — ოთხივეჯერ რაფასთან წავაგე. არადა, სხვა ჩოგბურთელებთან თიხაზე არანაირი პრობლემები არ მექმნება ხოლმე. ამიტომ იმედი მაქვს, რომ თუ ნადალი სადმე ფინალში ვერ გავა, რომელიმე ტურნირის მოგებას მაინც შევძლებ. თუმც ამის წარმოდგენა ახლა თითქმის სიბრიყვეა. რაფა ხომ გასაოცრად სტაბილურია თიხნარზე და თუ არ ვცდები, მისი დაუმარცხებელი მატჩების სერიამ 60-ს გადააჭარბა“.

სინამდვილეში პირინელი „თიხნარის მეფის“ სერიამ უკვე 67-ს უწია — აქედან ხუთი გამარჯვება კი ფედერერზე მოდის, რაც ნადალის ამ წარმატებულ სვლას კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდის.

„არადა, სხვა საფარზე რაფას წინააღმდეგ თამაში ძნელი არ არის, მაგრამ სულ სხვა საქმეა — წუწუნებს ფედერერი — აქ ნადალი მუდმივად უკანა ხაზზე გარბენინებს და რადგან ასეთ საარტილერიო ჯახში ბადალი არ ჰყავს, გრუნტზე მის წინააღმდეგ თამაში ჯოჯოხეთურად ძნელია“.

მიუხედავად ამისა, ფედერერი მაინც არ კარგავს იმედს, რომ როდისმე მაინც შეძლებს ესპანელის დამარცხებას და საგრუნტო ტიტულის მოგებას. შვეიცარიელი აპირებს რომისა და ჰამბურგის მასტერსებზე თამაშს, რათა წლის მეორე სლემტურნირ „როლან გაროსისთვის“ კარგად მოემზადოს. დიადი ალპელის თქმით, მთავარია, ამ ტურნირებზე ფინალებამდე მიაღწიოს, მერე კი შეიძლება,ყველაფერი მოხდეს.

„მომავალს მაინც ოპტიმიზმით ვუყურებ. მაინც მგონია, რომ რომშიც, ჰამბურგშიცა და „როლან გაროსზეც“ გამარჯვების მშვენიერი შანსი მაქვს. თან აქ ხუთსეტიანი მატჩები იქნება, რაც ჩემს შანსებს ერთიორად გაზრდის, რადგანაც ძალების გადანაწილება კარგად შემიძლია. მთავარი მიზანი კი პარიზში კარგი თამაშია — იქ უკვე ვითამაშე ნახევრფინალსა და ფინალში, მაგრამ ორჯერვე რაფასთან წავაგე. ხომ არაფერი დაშავდება კიდევ ერთხელ რომ ვცადო? მით უმეტეს, გრუნტზე ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო კარგად ვთამაშობ“.

**კახა ლომაჯვილი**

# საფინი თიხაზე გაფინეს

**ბარსელონაში** ნელ-ნელა ხურდება ტურნირი და დღეისთვის უკვე ყველა ბობოლას მოუწევს კორტზე გასვლა. იქამდე კი იმაზე ვისაუბროთ, რაც უკვე მოხდა.

წარმატებული დებიუტი გამოუვიდა ტურნირის მეორე ნომერ ნიკოლაი დავიდენკოს, რომელმაც აქამდე თითქმის უცნობ თანამემამულე იური შუკინს მოუგო. თუმც ბევრისთვის მოულოდნელად, კოლიას ძალიან გაუჭირდა და სამი სეტი მოანდომა შუკინის დამარცხებას — როგორც ჩანს, დავიდენკოს უჭირს გრუნტთან შეგუება და მისი არცთუ დამაჯერებელი თამაშიც ამის ბრალი უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, მოსკოველმა წლეულს პირველი სათიხნარო გამარჯვება მაინც მოიპოვა და ახლა იმედიანადაა.

„შარშანაც ასე ძნელად ვეგუებოდი გრუნტს, მაგრამ ნელ-ნელა გავუშინაურდი. იმედი მაქვს, წლეულსაც ასე იქნება და „როლან გაროსს“ საჭირო ფორმაში შევხვდები“ — ამბობს რუსი.

მოიგო ტურნირის კიდევ ერთმა ფავორიტმა და თიხნარის აღიარებულმა სპეციალისტმა დავიდ ნალბანდიანმა. არგენტინელი ამ ბოლო დროს ტრავმებმა მაგრად გააწამა და ამიტომაც ძველებურად ვეღარ ირჯება. თუმც თავად პატაგონიელი ამბობს, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა უკან მოვიტოვე და ახლა მხოლოდ ჩოგბურთზე ვარ კონცენტრირებულიო. თავისი სიტყვების საქმით დამტკიცება ნალბანდიანმა გუშინ დაიწყო, როცა მასპინძელ ალბერტო მარტინს გადაუარა და მხოლოდ ორი გეიმი ააღებინა.

არა და არ დაადგა საშველი მარატ საფინის ათამაშებას. გოლიათ რუსს ტრავმები აღარ აწუხებს, მაგრამ ძველ ფორმას მაინც ვერ იბრუნებს და ამიტომაც ტურნირებს საწყის ეტაპებზე შესაშური რეგულარულობით ტოვებს. ახლაც, მარატმა საერთოდ ვერაფერი მოუხერხა სიმონე ბოლელის — საფინი განასკუთრებით იტალიელის მოწოდებაზე გამოიყურებოდა უსუსურად. რუსს მთელი მატჩის განმავლობაში კინკილა ბრეიკ-პოინტი თუ ჰქონდა და რადგან თავის მოწოდებაზეც ბლომად სცოდავდა, მისი წაგება არავის გაკვირვებია.

**კახა ლომაჯვილი**

ᲐᲤᲠᲝᲜᲘᲙᲐ

# აფრიკული წინმსწრაფველი



AFP ფოტოსურათიდან

**„შოშოლოზა“** ერთ-ერთ სამხრეთაფრიკულ დიალექტზე „წინმსწრაფველს“ ნიშნავს. ეს სიტყვა „ცისარტყელოვან“ ქვეყანაში განსაკუთრებით პოპულარული გახდა და შავკანიანი მოსახლეობისთვის ნამდვილ ლოზუნგად იქცა 80-90-იანი წლების მიჯნაზე, აპარტეიდის მსხვრევის დროს.

იახტა „შოშოლოზა“ კი სამხრეთაფრიკული ნავია და სავსებითაც ამართლებს ამ სიტყვის ისტორიულ არსს. ესაა პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი აფრიკული ნავი, რომელმაც ამერიკის თასისთვის ნამდვილ გიგანტებთან ბრძოლაში ჩაბმა გაბედა და მსოფლიოს გააცნო თავი. იახტას ბევრი სერიოზულიად არ აღიქვამდა, მაგრამ „შოშოლოზამ“ მოახერხა საშუალოებში ღუზის ჩაშვება და ლიდერებისკენაც კი მიატრიალა საჭე.

ლუი ვუტონის თასისთვის (ამერიკის თასის შესარჩევი ტურნირი) ბრძოლის მეშვიდე დღეს აფრიკელებმა თვით ბობოლათა სამეულიდან ერთ-ერთის დამარცხება შეძლეს და საპლეიოფო ზონას მიუახლოვდნენ. პლეი ოფი ნახევარფინალიდან იწყება და იქ მოხვედრა არ გაუჭირდება თასის სამ ძველ და გამოცდილ მონაწილეს — ამერიკულ „ბმვ ორეიკლს“, ახალზელანდიურ „თიმ ნიუ ზილენდს“ და იტალიურ „ლუნა როსას“. შესაბამისად, მათ 13, 10 და 9 ქულა აქვთ. მეოთხე საგზურისთვის კი დარჩენილი 8 გუნდებიდან ბარე ოთხი აცხადებს პრეტენზიას და მათ შორის „შოშოლოზაც“ ჩაეწერა მას შემდეგ, რაც მეშვიდე დღეს „ლუნა როსა“ 36 წამით უკან მოიტოვა.

აფრიკული იახტის სტრატეგისტი იან აინსლი იტალიური ნავის დამარცხების შემდეგ პირდაპირ ბღაოდა — „მთელი კურსი დაძაბული ვიყავი, მეშინოდა, ბმვ-სთან რომ დაგვემართა და ჩვენივე სისულელით დავკარგეთ გამარჯვება, ახლაც იგივე არ დაგვმართოდა, მაგრამ როგორც კი ფინიში გადავკვეთეთ, მუხლებზე დავეცი და ცხოვრებაში პირველად ავტირდი ნავზე.“

„შოშოლოზამ“ ამ გამარჯვების შემდეგ 8 ქულა დააგროვა და ორ მეტოქესთან იყოფს მეოთხე-მეექვსე ადგილებს. აქედან კი ჰორიზონტზე სავსებით მკაფიოდ ჩანს ნანატრი პლეი ოფი.

**კოტე ყორღია**

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007

## ნახევარფინალი. პირველი მატჩი

AFP ლონდონიდან

# ვინ დაიკოპეზა ევფილდზე?

## ჩელსი და ლივერპული დანის პირზე მიდიან

### ჩელსი (ინგლისი) 1:0 ლივერპული (ინგლისი)

1:0 ჯ. კოული (29)

ჩელსი: ჩეხი, პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, ტერი, ე. კოული, მიკელი, მაკელელე, ლამპარდი, ჯ. კოული (რაიტ-ფილიპსი 85), შევჩენკო (ს. კალუ 76), დროგბა

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

ლივერპული: რეინა, არბელოა, კარაგერი, აგერი, რიისე, ჯერარდი, მასკერანო, ხაბი ალონსო (პენანტი 83), ზენდენი, ბელამი (კრაუჩი 53), კუიტი

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: მასკერანო (77)

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

39 483 მაყურებელი

### ინგლისი

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩი
ნორსვიჩი 0:0 სტივენეიჯი

### ჰოლანდია

ერედივიზიონი
გადადებული მატჩი
დენ ჰაააგი 1:3 გრონინგენი

### რუმინეთი

I ლიგა. XXVIII ტური
უნირია 1:0 არადი
ოცელული 2:0 ვასლუი
პანდურიი 2:0 პეტროსანი
ნაციონალი 0:2 ტიმოშოარა
ჩაჰლაული 0:2 უნივერსიტატია
ფარული 1:1 დინამო

### თურქეთი

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
ერზინჯანი (ანდერლეხტი) ტრაბზონი (1:0)

### პოლონეთი

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
პლოცკი 1:1 კორონა (2:3)

### ჩეხეთი

თასის მეოთხედფინალი
გუდეიოვიცე 2:0 სლოვაკეთი
ზლინი 2:1 ბოლესლავი
პლზენი 0:3 იაბლონეცი

### დანია

თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩები
ლიუნგბიუ 2:3 კოპენჰაგენი
ოდენსე 1:2 ვიბორგი

### სლოვაკეთი

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩები
სენეცი (ინანლენ) რუჟომბეროკი (0:0)
ძორავცე 4:2 არტმედია (0:1)

### სლოვენია

თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩები
ნოვა გორიცა 2:4 მარიბორი
პუბლიკუმი 1:3 კოპერი

### უნგრეთი

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
დებრეცენი 2:2 დიოშდიორი (1:0)

### ამხანაგური მატჩი

ახალგაზრდულები (U-21)
გერმანია 4:0 შვეიცარია

**უხვგოლიან** მატჩს „სტემფორდ ბრიჯზე" ცოტა თუ ელოდა და ლოგიკურადაც. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამ გუნდების წინა ოთხი საჩემპიონთალიგო დაპირისპირებიდან სამი 0:0 დასრულდა, ერთში კი „ლივერპულმა" 1:0 იმარჯვა, ისიც ლუის გარსიას ძალიან საკამათო გოლით.

ამჯერად, „ჩელსიმ" მოიგო, ასევე მინიმალური სხვაობით. კარგია თუ ცუდი ლონდონელთათვის 1:0, ძნელი სათქმელია. ალბათ არცთუ ურიგო ანგარიშია, მაგრამ როცა სასუხო მატჩი „კოპით" სახელგანთქმულ „ენფილდზე" გელის, ბუნებრივია, მშვიდად ვერაფრით იქნები.

მატჩი ორივე გუნდმა ფრთხილად დაიწყო. „ჩელსი" დისკვალიფიცირებული მიკაელ ესიენისა და დაშავებული მიხაელ ბალაკის გარეშე თამაშობდა. დიდი ხნით ტრავმირებული არიენ რობენი რომ აღარც გავიხსენოთ. თუმცა ლონდონელებს მოედნის ცენტრში დიდი პრობლემა ჰქონდათო, ვერ ვიტყვით...

მასპინძლებმა უფრო აქტიურად დაიწყეს და პირველი მომენტიც მათ შექმნეს — „ლივერპულის" საჯარიმოში შექმნილ არეულობას ფრენკ ლამპარდის ახლოდან დარტყმული მოჰყვა, რომელსაც პეპე რეინა ბრწყინვალედ დაუხვდა.

მალევე დიდიე დროგბას ცოტა დროულად და ზუსტად რომ ეთამაშა, უპრობლემოდ გაიყვანდა ჯო კოულს მეკარესთან პირისპირ, მაგრამ... ამას ლამპარდის ოდნავ არაზუსტი დარტყმა მოჰყვა.

ერთი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი ანდრე შევჩენკოსაც ჰქონდა. გოლი კი ასე გავიდა — რიკარდუ კარვალიუმ ბურთი თავისი საჯარიმოდან აიტანა და დროგბასაც მშვენივრად გაუჭრა პასი, კოტდივუარელიც უმალ გაიჭრა წინ, დანიელ აგერი ოსტატურად ჩამოიტოვა და კოხტად გადააწოდა კოულს, „პატარა ჯომაც" ახლოდან ვარდნაში დაცხრილა რეინა — 1:0.

მეორე ტაიმის დასაწყისში კი ის მომენტი შეიქმნა, ალბათ მთელი „ლივერპული", მისი ფანები და გუნდის კაპიტანი სტივენ ჯერარდი გულის ფანცქალით რომ ელოდნენ — ჯერარდს მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან ბურთი მიუგორდა და ისეთი გაისროლა, თქვენი მოწონებული, მაგრამ პეტრ ჩეხის საოცარმა ნახტომმა ჟოზე მაურინიუს გუნდი იხსნა. ეს ლივერპულელთა ერთადერთი რეალური შანსი იყო მთელ მატჩში.

იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს, ლონდონელები 1:0-ზე ყაბულს იყვნენ და რისკზე აღარ მიდიოდნენ.

მოკლედ, ასეა თუ ისე, „ლივერპული" ტერიტორიულ უპირატესობას დაეუფლა. ოღონდ, რეალურ, მწვავე მომენტამდე საქმე არ მისულა.

ბოლო 10-15 წუთში კი მერსისაიდელებს დაღლა დაეტყოთ და „ჩელსიც" მათ კარს მიაწყდა. ლონდონელებმა ორი-სამი კარგი მომენტი შექმნეს კიდეც. ერთხელ „ლივერპული" აშკარა გოლს ისევ რეინამ გადაარჩინა — დროგბას ჭკვიანურ ქუსლურს ლამპარდმა ერთი შეხებით საშინლად ამოსცხო, მაგრამ ესპანელმა მეკარემ ერთხელაც დაადასტურა, რომ ბოლო წლებში ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში.

დამატებულ წამებზე, როცა „ჩელსიმ" პირველი კუთხური ჩააწოდა, სამმა ლონდონელმა ერთმანეთს ხელი კი შეუშალა, მაგრამ დროგბამ მაინც შეძლო დარტყმა, თუმცა მისი თავური არაზუსტი გამოდგა.

**გიორგი კაკაბაძე**


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი ჯეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge